პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 18 ივნისი, 1947 წ. № 121 (7905). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

კოლმეურნეობაში მოსავლის აღების გეგმა—„პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).
მზადება რკინიგზელის საკავშირო დღისათვის (1-ლი გვერდი).
რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში (1-ლი გვერდი).
დიდი ჰუმანისტის სიტყვა (მე-2 გვერდი).
სტალინური მარშრუტი (მე-2 გვერდი).
როგორ ავიღებთ მოსავალს (მე-3 გვერდი).
ლ. ივანიშვილი — სამუელ ბუაჩიძე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

## კოლმეურნეობაში მოსავლის აღების გეგმა

მოსავლის მასობრივი აღების დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა. ერთიორი კვირის შემდეგ მკა გაჩაღდება სტავროპოლიეში, დონზე, ყუბანსა და უკრაინაში. ახლოვდება ცხარე სამუშაოების დრო ვოლგისპირეთში და ცენტრალურ შავმიწიან ოლქებში. ჩვენი ქვეყანა შედის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპში. მოსავლის თავის დროზე აღება და პურის დამზადების გეგმის დაწესებულ ვადებში შესრულება თვითეული რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის წარმატებათა მთავარი მაჩვენებლებია. მოსავლის აღებისა და დამზადების შედეგების მიხედვით პარტია და სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა, შეაფასებენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხელმძღვანელთა მუშაობას.

პურეულის აღებისათვის, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულებისათვის მზადება დღევანდელი დღის ყველაზე დამკვრელი ამოცანაა. მოსავლის აღებისათვის მზადების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული საკითხია კოლმეურნეობებში სამუშაო გეგმების შედგენა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა მოითხოვა ბოლო მოეღოს ისეთ სერიოზულ ნაკლოვანებებს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, როგორიცაა ოპერატიულობის უქონლობა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომზადებისა და ჩატარების დაგვიანება. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგილობრივ ხელმძღვანელ კადრებს ასწავლის ყოველმხრივ შეაფასონ შექმნილი ვითარება, გაითვალისწინონ შესაძლო სიძნელენი და გართულებანი მუშაობაში, რათა წარმატებით დასძლიონ ისინი და არ დაუშვან გარღვევა ამათუიმ უბანზე. დაგეგმვა სწორედ ის უტყუარი საშუალებაა, რომელიც გვეხმარება დავინახოთ კოლმეურნეობის ხვალინდელი დღე, შევქმნათ ვითარება წარმატებისათვის.

რა უნდა დაედოს საფუძვლად მოსავლის აღების გეგმას? ჯერ ერთი, ძალებისა და საშუალებების ისეთი განაწილება, რომელიც შესაძლებელს გახდის პირველი დღიდანვე ერთდროულად გაშლილი ფრონტით დავიწყოთ მკა, ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება.

მაშასადამე, საჭიროა გავითვალისწინოთ მთელი ძალები და საშუალებანი, გავითვალისწინოთ გეგმაში მლეწავთა ბრიგადების და სატრანსპორტო ბრიგადების შექმნა, დავაკომპლექტოთ ისინი იმდენი ადამიანით და მატერიალური საშუალებებით, რაც უზრუნველჰყოფს მკას, ლეწვასა და პურის გამოზიდვას გრაფიკით, კანონით დაწესებულ ვადებში.

დაგეგმვის პროცესში ცალკე კოლმეურნეობანი შეიძლება წააწყდნენ ადამიანების, მოსავლის ასაღები მანქანებისა და გამწევი ძალის ნაკლებობას. რაიონული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ ამ კოლმეურნეობებს. კერძოდ, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ძალების განაწილება, მაქსიმალურად შემცირდეს მომსახურე პერსონალი და მეორეხარისხოვან სამუშაოებზე დაბანდებულ კოლმეურნეთა რიცხვი. თავის მხრივ მტს-ები ვალდებული არიან ყოველმხრივ დაეხმარონ ასეთ არტელებს, გაადიდონ მათთვის კომბაინებით, ტრაქტორით მომუშავე ძნისმკვრელი და სამკელი მანქანებით შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა.

მაგრამ არსებული ძალების სწორად განაწილება საქმის მხოლოდ ნაწილია. წარმატების მეორე პირობაა მოსავლის ასაღებად კოლმეურნეობებისა და მტსების მთელი შინარესურსების მობილიზაცია, შრომის მაღალი ნაყოფიერება. ამიტომ გეგმებში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას კომბაინების, სამკელი და სხვა მანქანების სრული დატვირთვა. გალეწვა, დაბულულება და პურის გამოზიდვა დღედაღამ უნდა სწარმოებდეს. ისევე, როგორც თესვისა და მარგვლის დღეებში, საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ ინდივიდუალური და წვრილჯგუფური სანარდო სამუშაო, წავახალისოთ მოწინავენი.

მოსავლის აღების სამუშაოებზე მინდვრად გამოვა მილიონობით ადამიანი. ბევრ კოლმეურნეობაში ცხოვრება გადავა მინდვრის ბანაკებში, სალეწ მანქანებთან, კომბაინებთან. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან იზრუნონ საბავშვო ბაღებისა და მოედნების მოსაწყობად, მოამარაგონ ბრიგადები გაზეთებით, მოაწყონ კოლმეურნეთა, ტრაქტორისტთა და კომბაინერთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

წელს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსავლის აღრიცხვას ცალცალკე ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით. ასიათასობით მერგოლეურმა, ბრიგადირმა, რიგითი კოლმეურნემ პირობა დასდო მოეყვანა უხვი მოსავალი, რაც მას უფლებას აძლევს მიიღოს მთავრობის ჯილდო. ისინი თავდადებულად შრომობდნენ თესვისა და მარგვლის დღეებში და კანონიერად სურთ აწონ-დასწონონ თავისი შრომის ნაყოფი.

მოსავლის აღრიცხვის საკითხები ეხება უაღრესად ფართო მასების ინტერესებს. ამიტომ აგრონომებმა, საკოლმეურნეო აქტივმა, მოანგარიშეებმა გეგმებში უნდა გაითვალისწინონ აღრიცხვის ისეთი წესი, რომელიც შესაძლებელს გახდის შეჯამდეს მოსავლისათვის ბრძოლის შედეგები არა მარტო მთლიანად კოლმეურნეობაში, არამედ თვითეული ბრიგადისა და რგოლის მიხედვით ცალცალკე.

გასულ წლებში გეგმების შედგენას ზოგიერთ რაიონებში ფორმალურად ეკიდებოდნენ. გეგმა ხშირად თავმჯდომარისა და მოანგარიშის კანცელარიული შემოქმედების ნაყოფი იყო. იგი არ ითვალისწინებდა კოლმეურნეთა აზრს, კოლმეურნეობის რეალურ შესაძლებლობას. გასაგებია, რომ ასეთი გეგმა ვერ იქნებოდა დასახულ ამოცანათა შესასრულებლად მასების მობილიზაციის საშუალება. ასეთ შეცდომებს იმ შემთხვევაში ავიცდენთ, თუ გეგმის შედგენაში ჩაბმულ იქნებიან საკოლმეურნეო აქტივი, აგრონომები, რაიონული სასოფლო-სამეურნეო განყოფილებების ბუხჰალტერ-ინსტრუქტორები. თავისთავად იგულისხმება, რომ გეგმა უნდა განხილულ იქნას კოლმეურნეობებისა და ბრიგადების კრებებზე, უნდა მოვისმინოთ კოლმეურნეთა შენიშვნები, გავითვალისწინოთ მათი წინადადებანი. ბრიგადამ და რგოლმა, თვითეულმა კოლმეურნემ ცალკე უნდა იცოდეს თავისი დავალება, თავისი ადგილი მოსავლის აღებაში.

დღეს „პრავდა“ აქვეყნებს კორესპონდენციას სტალინის ოლქის კრასნოარმეისკის რაიონის კოლმეურნეობა „ჩერვონა ხვილიაში“ მოსავლის აღების სამუშაოთა გეგმის შესახებ. ამ გეგმაში სხვა რაიონების კოლმეურნენი ბევრ რამეს ნახავენ საგულისხმოს. მასში მკაფიოდ არის ასახული მოსავლის აღების სამი საკვანძო საკითხი—მკის შემჭიდროებული ვადები, დანაკარგებთან ბრძოლა, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა დროზე შესრულება. უკრაინის არტელის კოლმეურნეები ვარაუდობენ მთლიანად გამოიყენონ მოსავლის ასაღები ყველა საშუალება—კომბაინითა და სალეწი მანქანით დაწყებული ცელამდე. მათ გამოჰყვეს ყველაზე გამოცდილი ადამიანები და საკმაო რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებანი იმისათვის, რომ შეუფერხებლად ჩააბარონ პური სახელმწიფოს.

სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა ვადამდე შესრულება არტელ „ჩერვონა ხვილიას“ კოლმეურნეებს მიაჩნიათ უპირველეს მოვალეობად, თავისი ღირსების საქმედ. ამაში არ შეიძლება არ დავინახოთ კოლმეურნე გლეხობის უდიდესი ზრუნვა თავისი მშობლიური სახელმწიფოსათვის, მისი მხურვალე მისწრაფება უსწრაფესად განახორციელოს ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ისტორიული ამოცანები.

მოსავლის აღება ემთხვევა სხვა გადაუდებელ საქმეებს სოფლის მეურნეობაში. როგორი დაძაბულიც არ უნდა იყოს მოსავლის აღების პერიოდი, არ შეიძლება დავივიწყოთ სახნავი და ტექნიკური კულტურების მოვლა, ანეულის დამუშავება, საშემოდგომო თესვისათვის მზადება და მეცხოველეობისათვის საკვების მარაგის შექმნა. საჭიროა გეგმაში ყველა ეს სამუშაოები უნარიანად შევათავსოთ.

მოსავლის აღების გეგმის შედგენას უნდა მოჰყვეს პარტიული ორგანიზაციების დიდი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა. სოციალისტური შეჯიბრების უფრო მეტად გაჩაღება, მილიონობით ადამიანების დარაზმვა მოსავლის სანიმუშოდ აღებისათვის, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის, — სოფლის კომუნისტებისა და კომკავშირელების მოვალეობაა, მათი მთავარი პოლიტიკური ამოცანაა!

**„პრავდის“ 17/VI მოწინავე**

## ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში

გუშინ, მუშაობის ერთი თვით შეწყვეტის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო სარემონტო სამუშაოებით, მოსკოვში კვლავ გაიხსნა მნახველთათვის ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი.

მარქსისტულ-ლენინური იდეების უდიდესი საგანძური მნიშვნელოვნად შეივსო ახალი მასალებით. პირველად ექსპონირებული დოკუმენტები მეტი სისრულით ასახავენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას და ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ფუძემდებლებისა და შემქმნელების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის იდეურ თანამეგობრობას. მეოთხე დარბაზში კვლავ შექმნილია განყოფილება, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის ნაშრომისადმი „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“. მეექვსე დარბაზში ხელახლა დამუშავებულია ექსპოზიცია განყოფილებისა „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“.

განხორციელებულია მეშვიდე დარბაზის ექსპოზიციის გადაგეგმვა, რომლის მასალებიც ასახავენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მოღვაწეობას პირველი მსოფლიო ომისა და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წლებში.

მეათე დარბაზში პირველად ექსპონირებულია რუკა, რომელიც ახასიათებს ამხანაგ სტალინის, როგორც სამოქალაქო ომის წლებში სამხრეთ რუსეთში სასურსათო საქმის ხელმძღვანელისა და ცარიცინის დაცვის ორგანიზატორის უდიდეს მოღვაწეობას.

ხელახლა გაფორმებულ მეთოთხმეტე დარბაზში შექმნილია პარტიის IX ყრილობისადმი მიძღვნილი ახალი განყოფილება. ამ დარბაზში დამოუკიდებელ განყოფილებად გამოყოფილია ახალგაზრდობის ამოცანებისადმი მიძღვნილი მასალები, რომლებიც ვლადიმერ ილიას-ძემ ჩამოაყალიბა კომკავშირის მე-3 ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

შევსებულია იმ დარბაზის შინაარსი და გარეგანი ექსპოზიცია, რომელიც მიძღვნილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მოღვაწეობისადმი სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველ წლებში.

ერთ-ერთ დარბაზში მნახველთა ყურადღებას იპყრობს მუზეუმში პირველად დადგმული დიდი ელექტროფიცირებული რუკა: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“. ეს რუკა მკაფიოდ ასახავს ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წარმოშობის ისტორიას და განვითარების ეტაპებს.

ცნობილმა მხატვარმა—რესტავრატორმა მ. დ. ეგოროვმა მუზეუმის გახსნისათვის დაამთავრა ბროდსკის ცნობილი დიდი სურათის „ვ. ი. ლენინი პოლონეთის ფრონტზე აცილებს წითელარმიელებს“ ახალ ტილოზე გადატანის რთული მუშაობა. განახლებული სურათი კვლავ გამოფენილია. მისი ოდენობა 12 კვადრატულ მეტრს უდრის. ასეთი დიდი მხატვრული ტილოს დუბლირება იშვიათი შემთხვევაა რესტავრაციის პრაქტიკაში.

იმ დარბაზებში, სადაც შეგროვებულია ხელოვნების ნაწარმოებნი, პირველად არის ექსპონირებული ვ. ი. ლენინის ექვსი სკულპტურა, რომლებიც მუზეუმის შეკვეთით ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან მოქანდაკე ნ. ა. ანდრეევის ორიგინალების მიხედვით. აქვე წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გრაფიკული ნაწარმოებნი, რომლებიც შესრულებულია სტალინური პრემიის ლაურეატის, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პ. ვ. ვასილევის მიერ.

მუზეუმის გახსნის პირველსავე დღეს მისი დარბაზები სამი ათასამდე კაცმა დაათვალიერა. (საკდესი).

## დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სესია

16 ივნისს მოსკოვში მუშაობა დაიწყო დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის IV სესიამ. სხდომა გახსნა აღმასკომის თავმჯდომარემ გი ბუასონმა (საფრანგეთი).

აღმასკომმა უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები: კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ახალგაზრდობის პრობლემებისა და საჭიროებათა, ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს მორიგი სხდომის შესახებ. გარდა ამისა, აღმასკომმა გადასწყვიტა მოისმინოს სამდივნოს ცნობა მისი პრაქტიკული მოღვაწეობის შესახებ.

ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის საკითხზე მოხსენებით გამოვიდა აღმასკომის მდივანი კოტი ჰუკჰემი, რომელიც აღმასკომის წარმომადგენელია ფესტივალის მომწყობ საერთაშორისო კომისიაში. კოტი ჰუკჰემმა სესიას უამბო ფესტივალისათვის მზადებაზე, რაც ამჟამად მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნებში. ჰუკჰემმა აღმასკომს განსახილველად წარუდგინა წინადადებანი ფესტივალის პროგრამის შესახებ, რომლებიც შემუშავებულია ფესტივალის მოსამზადებელი კომიტეტის მიერ ახალგაზრდობის ეროვნული ორგანიზაციების განაცხადთა საფუძველზე.

აღმასკომის საღამოს სხდომაზე დაიწყო კოტი ჰუკჰემის მოხსენების განხილვა. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ი. გალიეგომ (რესპუბლიკური ესპანეთი), ი. გრომანმა—სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის აღმასკომის თავმჯდომარემ (ჩეხოსლოვაკია), ს. პედერსენმა (დანია), გ. ვილიამსმა (ავსტრალია), ჰ. ჯონსმა (ინგლისი), ლ. ვოინოვამ (სსრ კავშირი).

(საკდესი).

## რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში

**(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა და სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ 16 ივნისს მსახიობის სახლში მოიწვიეს შემოქმედებითი კონფერენცია, მიძღვნილი რუსთაველის თეატრის გასტროლებისადმი მოსკოვში. კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა პროფესორმა მ. ს. გრიგორიევმა. მოხსენება თემაზე: „რუსთაველის თეატრის ძირითადი შემოქმედებითი პრინციპები“ წაიკითხა კრიტიკოსმა იოჰან ალტმანმა. მან ილაპარაკა ქართული თეატრის ღრმა ისტორიულ ტრადიციებზე. ქართულმა თეატრმა თავისი განვითარების გზაზე მრავალი სიძნელე გადალახა. რუსულ თეატრთან კავშირი ხელს უწყობდა ქართული სათეატრო ხელოვნების განვითარებას.

რუსთაველის თეატრს ახასიათებს სიახლის მუდმივი ძიება. მის განვითარებაზე გავლენა მოახდინეს ქართული სათეატრო ხელოვნების კორიფეებმა, მათ შორის კოტე მარჯანიშვილმა. რუსთაველის თეატრი ყოველთვის იმარჯვებდა როგორც რომანტიკული მგზნების თეატრი. თეატრის ესთეტიკური კრედო გამოიხატება რომანტიკული პათეტიკით, ფორმალიზმთან ბრძოლით, დრამატიული დაძაბულობის გაგებით, რაც გამომჟღავნდა, მაგალითად, ისეთ სპექტაკლებში, როგორიცაა „ოტელო“, „დიდი ხელმწიფე“. რუსთაველელთა ნიჭიერი კოლექტივის მუშაობა რწმენას გვინერგავს, რომ თეატრი მომავალშიც განვითარდება, როგორც ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრი.

ინფორმაციით თემაზე: „რუსული პიესები რუსთაველის თეატრის სცენაზე“ გამოვიდა კრიტიკოსი ი. ლუკინი. თეატრში რუსი დრამატურგების პიესების დადგმა გამოხატავს საბჭოთა ხალხების კულტურის ერთიანობას. სპექტაკლები „დიდი ხელმწიფე“, „გამარჯვებულნი“ განირჩეოდნენ აქტიორული თამაშის მაღალი ოსტატობით, ა. ხორავას მიერ შექმნილი ივანე მრისხანეს სახე საბჭოთა სათეატრო ხელოვნების საუკეთესო მიღწევაა. ი. ლუკინმა განაცხადა, რომ ა. ხორავას დიდი ოსტატობა გამომჟღავნდა ამ როლის დეტალების დაკვირვებით დახვეწაში. ამავე სპექტაკლში გ. დავითაშვილმა ბორის გოდუნოვის მთლიანი სახე შექმნა. ი. ტუსკიამ ამ სპექტაკლისათვის დიდად შინაარსიანი მუსიკა დაწერა. პიესა „გამარჯვებულნის“ შესახებ ი. ლუკინმა აღნიშნა, რომ დამდგმელი ჰელიძე ღრმად ჩასწვდომია ჩვენი დროის ადამიანთა შესახებ დაწერილი პიესის აზრს. ა. ხორავამ უნარიანად გახსნა ფრონტის სარდლის მურავიოვის ვაჟკაცური სახე. ამ სპექტაკლში ა. ვასაძემ ცხადჰყო თავისი ფართო აქტიორული დიაპაზონი. გ. დავითაშვილმა გვიჩვენა ვინოგრადოვის როლის ფრიად საინტერესო გაგება. რუსთაველის თეატრის გასტროლებმა მოსკოვში დიდი მასალა მოგვცეს გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისათვის.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა კამერული თეატრის ხელმძღვანელი რსფსრ სახალხო არტისტი ა. თაიროვი. რუსთაველის თეატრის დახასიათებისას ა. თაიროვმა ილაპარაკა მის ოპტიმიზმზე და სიცოცხლის ყოვლისმძლე გრძნობაზე. ეს კოლექტივი არის მუდმივ ცოცხალი შემოქმედებითი ორგანიზმი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. მიხოელსმა ებრაული სახელმწიფო თეატრის სახელით რუსთაველის თეატრს მიულოცა დიდი წარმატება მოსკოვში. ნიჭიერმა მსახიობმა, მეფე ლირის ერთ-ერთმა საუკეთესო შემსრულებელმა ს. მიხოელსმა თავის გამოსვლაში მთავარი ყურადღება დაუთმო „ოტელოს“ სპექტაკლს და მას ფილოსოფიური აზრის სპექტაკლი უწოდა.

„ოტელოს“ დადგმით მიღებულ თავის შთაბეჭდილებაზე ილაპარაკა ცნობილმა შექსპირის მცოდნემ პროფესორმა მ. მოროზოვმა. მან ა. ხორავას უწოდა თანამედროვეობის უდიდესი მსახიობი შექსპირის გმირების როლების შემსრულებელთა შორის, ილაპარაკა ა. ვასაძის მიერ იაგოს როლის საუკეთესოდ გაგების შესახებ. საერთოდ სპექტაკლი „ოტელო“,—განაცხადა მ. მოროზოვმა,—თეატრის დიდი მიღწევაა. ეს სპექტაკლი ოქროს ასოებით ჩაიწერება შექსპირის პიესების დადგმების ისტორიაში.

ვახტანგოვის თეატრის ხელმძღვანელმა, რსფსრ სახალხო არტისტმა რ. სიმონოვმა, დიდი თეატრის სცენაზე ოპერა „აბესალომ და ეთერის“ დამდგმელმა, თავისი გამოსვლა მიუძღვნა ა. ხორავას, ა. ვასაძის, ა. თოიძისა და სხვების თამაშის ტექნიკას. რუსთაველელთა მთელი კოლექტივის მუსიკალურობის გრძნობას.

თეატრალურმა კრიტიკოსმა იუზოვსკიმ დამსწრეთ გაუზიარა თავისი შთაბეჭდილება სპექტაკლების „დიდი ხელმწიფის“, „გამარჯვებულნისა“ და „სადგურის უფროსის“ დადგმის შესახებ.

მოხსენებით: „ქართული დრამატურგია და რუსთაველის თეატრი“ გამოვიდა შალვა აფხაიძე. მისი მოხსენება, რომელშიც გაშუქებული იყო ქართული დრამატურგიისა და სათეატრო ხელოვნების საკითხები, კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

კონფერენციის დასასრულს სიტყვით გამოვიდა ა. ვასაძე. მან მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტს და სრულიად რუსეთის თეატრალურ საზოგადოებას, რომლებმაც მოაწყეს რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი კონფერენცია.

ქართველ და მოსკოველ მსახიობთა, რეჟისორთა და თეატრალურ კრიტიკოსთა კონფერენციამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

უახლოეს დღეებში სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების კლუბში შესდგება ა. ხორავას და ა. ვასაძის შემოქმედებითი საღამო.

მზადება რკინიგზელის საკავშირო დღისათვის

## თბილისელ რკინიგზელთა დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა

**მიმდინარე წლის 3 აგვისტოს საბჭოთა რკინიგზელები აღნიშნავენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — რკინიგზელის სრულიად საკავშირო სტალინურ დღეს. ჩვენი ქვეყნის ყველა რკინიგზებზე გაჩაღდა მუშაობა ამ დღესასწაულისათვის ახალი საწარმოო მიღწევების მოსაპოვებლად.**

**ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სამგზავრო განყოფილების მუშაკებმა დღესასწაულისათვის მზადების დღეებში საყურადღებო ინიციატივა გამოიჩინეს. მათ სახალხო მატარებელთა მოძრაობის გასაუმჯობესებლად შემოიღეს ვაგონების გარემონტების ახალი წესი. გზათა მიმოსვლის სამინისტრომ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის რკინიგზების ხელმძღვანელებს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი თბილისელთა მუშაობის გამოცდილების დანერგვას ყველა სარკინიგზო მაგისტრალზე.**

**ქვემოთ მოთხრობილია თბილისელთა ამ დიდმნიშვნელოვანი ინიციატივის შესახებ.**

სამგზავრო მატარებელთა მოძრაობის ერთ-ერთ შემაფერხებელ მიზეზად ხშირად ხდება სამგზავრო ვაგონთა ესა თუ ის წვრილმანი დეფექტი, რომელიც მას, შესაძლოა, მოულოდნელად აღმოაჩნდეს გზაში. ასეთ შემთხვევებში დეფექტურ ვაგონს ყოველთვის მოხსნიდნენ და უახლოეს დეპოში შესაკეთებლად გზავნიდნენ. ამით ბრკოლდებოდა მატარებელთა მოძრაობა, ირღვეოდა გრაფიკი, უარესდებოდა მგზავრთა მომსახურება.

თბილისის სამგზავრო განყოფილების ხელმძღვანელებმა კ. პაიჭაძემ და დ. ხარაძემ განყოფილების მუშაკთა კოლექტივის — ვაგონთა გამყოლების, მატარებელთა უფროსების და მომსახურე პერსონალის წინაშე განსახილველად დააყენეს საკითხი: შესაძლებელია თუ არა, რომ სამგზავრო ვაგონების მიმდინარე რემონტი შევასრულოთ საკუთარი ძალებით და შემადგენლობიდან ვაგონთა მოუხსნელად.

ამ საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია. როგორც ცნობილია, შარშან განყოფილების მუშაკებმა რკინიგზელთა წინაშე დააყენეს მეორე და მესამე პროფესიების შესწავლის საკითხი და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადასდგეს. მატარებლის მომსახურე პერსონალს სწორედ ახლა გამოადგა დამატებითი პროფესიების ცოდნა. მათ სრული შესაძლებლობა აქვთ მატარებელთა ვაგონებზე აღმოჩენილი დეფექტები იქვე საკუთარი ძალებით გამოასწორონ, ვაგონებს მიმდინარე რემონტი გაუკეთონ, თავიდან აიცდინონ მატარებელთა შემადგენლობიდან ვაგონების მოხსნა, ამით დააჩქარონ მატარებელთა მიმოქცევა, შეამცირონ ხარჯები, და, რაც მთავარია, უზრუნველჰყონ მატარებელთა შეუფერხებელი მოძრაობა.

ასეთი წესით მუშაობას სათავეში ჩაუდგნენ სამგზავრო მატარებელთა უფროსები დ. ერისთავი, ლ. მელია, კ. სტეპანიანი, ვ. ცქიფურიშვილი, გ. გვარამაძე, ვ. როპე და ჯავახაძე. თბილის-ქუთაისის, თბილის-ერევნის, თბილის-ბათუმის და თბილის-სოხუმის სამგზავრო მატარებელთა გამყოლებმა იკისრეს თავიანთი მატარებლები ვაგონების აუხსნელად ატარონ 100.000 კილომეტრამდე. ასე მუშაობით განვლილ მოკლე დროში მათ ჯერ-ჯერობით ვაგონების აუხსნელად უკვე შეკეთებული აქვთ საერთო ანგარიშით მატარებლის 4 შემადგენლობა.

თბილისელ რკინიგზელთა მუშაობის ეს წესი უკვე დანერგილია ხაშურის, სამტრედიის და ბათუმის სარკინიგზო უბნებზე, სადაც მატარებელთა მომსახურე პერსონალმა საკუთარი ძალებით უკვე შეაკეთა 20 სამგზავრო ვაგონი.

ამ რამდენიმე დღის წინათ სსრ კავშირის გზათა მიმოსვლის მინისტრმა ამხ. ი. კოვალიოვმა გამოსცა ბრძანება საბჭოთა კავშირის რკინიგზების ყველა უფროსისა და ხელმძღვანელი მუშაკებისადმი თბილისელ რკინიგზელთა მუშაობის მეთოდის ფართოდ დანერგვისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობის შესახებ.

რკინიგზების, უბნებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებს წინადადება აქვთ მიცემული ხელი შეუწყონ თბილისელთა ინიციატივის პოპულარიზაციას, მიიზიდონ ყველა ძალები და უზრუნველჰყონ თბილისელთა მეთოდის გავრცელებაში რკინიგზელთა მასებისათვის ყოველდღიური დახმარება და ოპერატიული ტექნიკური ხელმძღვანელობა. ბრძანებაში ნათქვამია:

„გზათა სამინისტრო კმაყოფილებით აღნიშნავს თბილისის სამგზავრო განყოფილების ასათასოვან ლუნინელ რკინიგზელთა შესანიშნავ ინიციატივას, მიმართულს ჩვენი სამშობლოსათვის ესოდენ საჭირო სამგზავრო ვაგონების შენარჩუნებისაკენ და ებრძანებს:

ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ამხ. კიკნაძემ დააჯილდოოს თბილისის სამგზავრო განყოფილების ლუნინელი გამყოლები, რომლებმაც უფრო მეტად ისახელეს თავი ამ ინიციატივის გამოჩენაში — მოძრავი შემადგენლობის შენარჩუნებასა და ვაგონების რემონტთაშორისო გარბენის გადიდებაში.

მადლობა გამოეცხადოს თბილისის სამგზავრო განყოფილების უფროსს ამხ. პაიჭაძეს და მის მოადგილეს ამხ. ხარაძეს.

სარკინიგზო ოლქებისა და გზების უფროსებმა ფართოდ გაავრცელონ თბილისის სამგზავრო განყოფილების მოწინავე ლუნინური ბრიგადების მეთოდი რკინიგზის მთელს ქსელში, წაახალისონ მოწინავენი და გაუწიონ მათ ყოველმხრივი დახმარება“.

## რკინიგზელის დღისათვის

ცენტრის რკინიგზების მუშათა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა რკინიგზელის დღისათვის მზადების საკითხი. თავის გადაწყვეტილებაში პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირის საგზაო და რაიონულ კომიტეტებს მოაწყონ სოციალისტურ ვალდებულებათა მასობრივი შემოწმება.

კლუბებში, ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებში ეწყობა სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისა და ტრანსპორტის მოწინავე ადამიანთა მიღწევებისადმი მიძღვნილი გამოფენები. წითელ კუთხეებში, საერთო საცხოვრებლებში, კლუბებსა და სახაზო სადგურებში შესდგება საერთო კრებები. 3 აგვისტოს პარკებში, ბაღებში, კლუბებში მოეწყობა მასობრივი სეირნობა. სახაზო სადგურების მუშაკთა მომსახურებისათვის იგზავნებიან კულტბრიგადები და ვაგონკლუბები.

(საკდესი).

## საქართველოს საგემოვნო მრეწველობამ ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტრომ 1947 წლის პირველი ნახევრის გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში 15 ივნისისათვის შეასრულა 105,8 პროცენტით, ხოლო II კვარტალის გეგმა—104,6 პროცენტით.

გამოშვებულია 73.328 ათასი მანეთის პროდუქცია (უცვლელი ფასებით), ნაცვლად წლის პირველი ნახევრის გეგმით გათვალისწინებული 69.340 ათასი მანეთის პროდუქციისა.

ნატურით გეგმა შესრულებულია: მზა გაწონილი ჩაისა—127,8 პროცენტით (აქედან ბაიხაოს ჩაისა—104,2 პროცენტით), ჩაის პირველადი დამუშავებისა—147,4 პროცენტით (აქედან ბაიხაოს ჩაისა—118,6 პროცენტით), ყურძნის ღვინისა (არასრული ცნობებით)—91,8 პროცენტით, კონიაკისა—145,2 პროცენტით, პურის სპირტისა—101,7 პროცენტით, განსაკუთრებული მოსკოვური არყისა—90,2 პროცენტით (არასრული ცნობებით), ჭაჭის არყისა—99,2 პროცენტით, ყურძნის წვენისა—95 პროცენტით, ლუდის გამოშვებისა—101,4 პროცენტით, უალკოჰოლო სასმელებისა—93,9 პროცენტით.

გამოშვებულია 2.042,8 მილიონი ცალი პაპიროსი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.400 მილიონი ცალისა (გეგმის 85,1 პროცენტი).

ძლიერ ჩამორჩა მინერალური წყლების გამოშვება, გეგმა შესრულებულია მხოლოდ 52,4 პროცენტით.

ცალკე ტრესტების მიხედვით საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს: ტრესტმა „საქართველოს ჩაიმ“—123,2 პროცენტით, საქართველოს თამბაქოს ტრესტმა—100,1 პროცენტით, სამტრესტმა—100,4 პროცენტით, საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ტრესტმა—100,7 პროცენტით, საქართველოს მინერალური წყლების ტრესტმა—მხოლოდ 64,6 პროცენტით.

არასრული ცნობებით, რაიონული მრეწველობის იმ საწარმოებმა, რომლებიც საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შედიან, წლის პირველი ნახევრის გეგმა 101,4 პროცენტით შეასრულეს.

რესპუბლიკური დაქვემდებარების იმ 92 საწარმოდან, რომლებიც სამრეწველო პროდუქციას უშვებენ, პირველი ნახევარი წლის გეგმა 15 ივნისისათვის მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა 63 საწარმომ (68,5 პროცენტი), მათ შორის: ჩაის მრეწველობის 33 საწარმომ, თამბაქოს მრეწველობის 4 საწარმომ, ღვინის მრეწველობის 18 საწარმომ, საქართველოს მინერალური წყლების ტრესტის 2 საწარმომ, საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ტრესტის 5 საწარმომ, აგრეთვე ლითოგრაფიებმა.

## მოსკოვის 800 წლისთავის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ნება დართო აღინიშნოს მოსკოვის დაარსების 800 წლისთავი და მოსკოვის 800 წლისთავის დღესასწაულის დღედ დააწესა კვირა — 1947 წლის 7 სექტემბერი.

# დიდი ჰუმანისტის სიტყვა

გორკის სიტყვა იმ კლასის მძლავრი იარაღი იყო, რომლის შვილიც იყო და რომლისთვისაც იბრძოდა დიდი მწერალი. ეს იარაღი უნაკლოდ ემსახურებოდა მშრომელი ხალხის საქმეს მაშინ, როცა ცოცხალი გორკი მებრძოლთა პირველ რიგში იყო. იგი ახლაც გვემსახურება, როცა გორკი ჩვენს შორის აღარ არის. და მის წიგნებს რომ ვფურცლავთ, ვგრძნობთ მისი სიტყვის ძალას, მისი წინასწარმეტყველების ძალას.

ცოცხალი გორკი შიშს ჰგვრიდა იმ ბანაკს, რომელსაც იგი პარტიული ლიტერატურის იარაღით ებრძოდა. დღემდეც არანაკლებ ეშინია მისი ამ ბანაკს. სიკვდილი ვერ ერევა გორკისთანა ადამიანებს. უკვდავია მისი აზრი, უკვდავია მისი იდეები. და „როგორც ცოცხალი ცოცხლებთან მოლაპარაკე" გვევლინება დიდი ჰუმანისტი მწერალი დღეს, როცა ახალი სოციალისტური სამყაროს იგივე ბრძოლა სწარმოებს კაპიტალისტური რეაქციის ბნელ სამეფოსთან.

გერმანელი ფაშისტები, ხელისუფლებას რომ ჩაუდგნენ სათავეში, კოცონზე სწვავდნენ რუსი მწერლის წიგნებს. არა გვგონია, რომ ამ აქტებს განსაკუთრებით გაეკვირვებინა გორკი. მთელი თავისი სიცოცხლისა და ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის მანძილზე გორკი ხვდებოდა პარაზიტი ბატონების, მებრძოლი ბნელეთისმოციქულების, ბურჟუათა ყურმოჭრილი მონებისა და ლაქიების, გონებაჩლუნგი მეშჩანების ველურ, მძვინვარე სიძულვილს. ძველ რუსეთში გორკი იმავე მდგომარეობაში იყო, როგორც პირველი რუსი განმანათლებელი რადიშჩევი, როგორც რევოლუციური დემოკრატები ბელინსკი და გერცენი. მან განიცადა მთელი ის გმობა, რომელსაც მეფის რუსეთში თავს დაატეხდნენ ხოლმე ამ ქვეყნის მმართველნი რევოლუციონერ მწერალს. ცენზურა ამახინჯებდა მის ნაწერებს. რევოლუციური სიტყვა აკრძალული იყო რომანოვების იმპერიაში. სიტყვის თავისუფლებით ამ იმპერიაში სარგებლობდნენ მშრომელი ხალხის მტრები, ჩაგვრისა და ძალადობის მოციქულები, შავრაზმელი პუბლიცისტები, დამრბეველები, ძველი წყობილების შუბლმაგარი დამცველები, ყოველი ცოცხალი აზრის მტრები.

თვითმპყრობელური რუსეთისათვის გორკის სიტყვა, რასაკვირველია, საშიში, სახიფათო იყო, და მისი აზრი იდევნებოდა მთელი იმ გაშმაგებითა და ცინიზმით, რომელიც მეფის დესპოტიისა და მისი შავრაზმელი მსახურების დამახასიათებელი იყო. გორკი საშიში იყო როგორც დიდი რეალისტი, როგორც რევოლუციამდელი ცხოვრების „ტყვიასავით მძიმე სისაძაგლეთა" მამხილებელი და როგორც მომღერალი ახალგაზრდა აღმავალი კლასისა, რომელსაც ისტორიამ ბურჟუაზიის მესაფლავეობა არგუნა.

მწერალი მგზნებარე ჰიმნებს უმღერდა მშრომელ ხალხს. იგი ხალხში ხედავდა იმ ძალას, რომელსაც შეეძლო დაენგრია ძველი, კაპიტალისტური სამყარო და მის ნამსხვრევებზე აეგო ახალი საზოგადოების ნათელი შენობა. მშრომელი ხალხის მტრები რევოლუციონერი მწერლის მტრები იყვნენ. მას სძულდა ისინი მთელი თავისი დიდი გულის სიძლიერით, მათ წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომა მან თავისი ძლიერი ინტელექტი, თავისი უდიდესი ნიჭით დაეხმარა მუშათა კლასს, რომელიც მჩაგვრელთ ებრძოდა.

გორკი მიჰყვებოდა ლენინ-სტალინის წითელ დროშას. სიტყვის იარაღით იბრძოდა იგი კეთილშობილური ლენინურ-სტალინური საქმისათვის, გამოდიოდა როგორც ახალი, სოციალისტური რუსეთის მქადაგებელი. იგი ეწეოდა სოციალიზმის იდეათა პროპაგანდას. იგი სიმართლეს მოგვითხრობდა იმ ქვეყნის შესახებ, რომელმაც ეს იდეები განახორციელა. ამ ქვეყნის სიმართლე თავისი მწერლის პირით მეტყველებდა.

გორკი დაუღალავად ამხილებდა საბჭოთა ხალხის მტრებს, ხალხისა, რომელმაც მოისურვა ეცხოვრნა ისე, რომ არ ჰყოლოდა კაპიტალისტები, მემამულეები, ბანკირები, ვაჭრები, ხალხისა, რომელმაც უკუაგდო კაპიტალისტური სამყაროს მგლური კანონები და დაამკვიდრა სოციალისტური საზოგადოების ახალი კანონები და ახალი პრინციპები.

თვითონ მწერალმა 1928 წელს თბილისში საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე ასე განსაზღვრა თავისი შემოქმედების ბუნება და მნიშვნელობა:

„მე რომ კრიტიკოსი ვიყო და წიგნს ვწერდე მაქსიმ გორკიზე, ამ წიგნში ვიტყოდი, რომ ის ძალა, რომელმაც გორკი აქცია იმად, რაც ის არის, როგორიც ის თქვენს წინაშე დგას, აქცია იმ მწერლად, რომელსაც თქვენ ასე გაზვიადებით სცემთ პატივს, რომელიც თქვენ ასე გიყვართ, ის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მან რუსულ ლიტერატურაში პირველმა და, შესაძლოა ცხოვრებაშიც პირველმა აი ასე, პირადად, შეიგნო უდიდესი მნიშვნელობა



შრომისა, რომელიც ჰქმნის ყოველივე უძვირფასესს, ყოველივე მშვენიერს, ყოველივე დიადს, რაც კი ამ ქვეყნად არსებობს".

გორკის წიგნები ადიდებენ შრომას და მშრომელ ადამიანს. მხოლოდ მშრომელთ ანიჭებს მწერალი საამაყო სახელს — ადამიანის სახელს. იგი ამ მაღალი წოდების ღირსად არ ხდის პარაზიტებსა და მუქთახორებს. არავის, ვინც ადამიანის ექსპლოატაციით ცხოვრობს, ვინც ამქვეყნიური სიკეთით სარგებლობს, ხოლო არავითარ მატერიალურ და სულიერ ღირებულებას არა ჰქმნის. იგი ამხილებს კაპიტალისტური წყობილების წყლულებს, ბურჟუაზიული კულტურის ხრწნასა და ლპობას.

თავის „პასუხში ინტელიგენტისადმი" 1931 წელს გორკიმ მკაფიო და ძლიერი სიტყვებით დაჰგმო კაპიტალისტური სამყარო და ამ სამყაროს მეთაურები.

„განა დრო არ არის, გადაჭრით დააყენოთ საკითხი, თუ რა განსხვავებაა ერთის მხრივ იმ მიზნებს შორის, რომლებისთვისაც ცხოვრობს ევროპის ბურჟუაზია და მეორე მხრივ იმ მიზნებს შორის, რომლებისთვისაც ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის ხალხები? ხომ უკვე საკმაოდ ნათელია, რომ ევროპის პოლიტიკური ბელადები ემსახურებიან არა „მთლიანად ერის" ინტერესებს, არამედ ურთიერთისადმი მტრულად განწყობილი კაპიტალისტური ჯგუფების ინტერესებს. „ერების" წინაშე სრულიად უპასუხისმგებლო მეწვრილმანეთა ამ მტრობამ შექმნა მთელი რიგი ისეთი დანაშაულობანი კაცობრიობის წინააღმდეგ, როგორიცაა 1914-1918 წლების მთელი ევროპის ხოცვა-ჟლეტა; ამ მტრობამ გააღრმავა ერთა ურთიერთუნდობლობის „სტიქიურობა", გადააქცია ევროპა მთელ რიგ შეიარაღებულ ბანაკებად, ეს მტრობა ხარჯავს ხალხის უამრავ შრომას, ოქროსა და რკინას მასობრივი კაცთსაჟლეტი იარაღის საწარმოებლად; ერთმანეთის მიმართ კაპიტალისტების ამ მტრობამ გააძლიერა მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომელიც ანადგურებს რა „ერის" ფიზიკურ ძალებს, ამცირებს ინტელექტუალური ძალების ზრდას; მტაცებელთა და მეწვრილმანეთა ეს მტრობა აწყობს ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას. დაეკითხეთ თავს: რისთვის ხდება ყოველივე ეს? და თუ საერთოდ გულწრფელად გსურთ განიკურნოთ თქვენი მძიმე შეშფოთებისა და ცხოვრებისადმი პასიური დამოკიდებულებისაგან, მიეცით თავს სოციალური ხასიათის უმარტივესი კითხვები და ისე, რომ სიტყვებმა არ გაგიტაცონ, ჩაუფიქრდით კაპიტალიზმის არსებობის მიზნებს, უფრო ზუსტად: მისი არსებობის დანაშაულებრიობას".

შემდეგ გორკი სწერს ბურჟუაზიული ცივილიზაციის წარმომადგენელთა ურჯულო პოლიტიკაზე კოლონიურ ქვეყნებში:

„თქვენ, ინტელექტუალისტები, „დიდად აფასებთ კულტურას, რომლის საერთოკაცობრიული მნიშვნელობაც უდავოა". ხომ ასეა? მაგრამ თქვენს თვალწინ კაპიტალიზმი ყოველდღე და განუწყვეტლივ ანგრევს ამ თქვენთვის ძვირფას კულტურას ევროპაში, ხოლო კოლონიებში წარმოებული თავისი არაადამიანური, ცინიკური პოლიტიკით უეჭველად ჰქმნის ევროპული კულტურის მტერთა არმიას. თუ მტაცებელთა ეს „კულტურა" შავსა და ყვითელ კონტინენტებზე ათასობით ასეთსავე მტაცებელს ზრდის, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იქ რჩება რამდენიმე ასეული მილიონი გაძარცული და ღატაკი. ინდოელი, ჩინელი, ანამიტი ქედს იხრიან ზარბაზნების წინაშე, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი თაყვანს სცემენ ევროპის კულტურას. ისინიც უკვე ხვდებიან, რომ საბჭოების კავშირში იქმნება ფორმითაც და აზრითაც სხვა კულტურა".

გორკი ილაშქრებდა კაპიტალიზმის უმთავრესი დანაშაულის — იმპერიალისტური, დაპყრობითი ომის წინააღმდეგ. მწერლის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ იგი მთელი თავისი ნიჭისა და ტემპერამენტის ძალით ამჟღავნებდა ფაშიზმის ავაზაკურ ბუნებასა და მხეცურ იდეოლოგიას. ფაშიზმში გორკიმ დაინახა კაცობრიობის კულტურის უარყოფა, ცივილიზაციისა და პროგრესის უარყოფა. ფაშიზმში გორკიმ დაინახა ახალ მსოფლიო სამხედრო შერყევათა საშიშროება, მთელი ხალხების დაღუპვის საშიშროება.

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ მწერალთა პირველი და ყველაზე ძლიერი სიტყვა ფაშიზმის წინააღმდეგ გაისმა მოსკოვში, ეს სიტყვა სთქვა ჩვენმა გორკიმ, იმ ხანებში, როცა ზოგიერთმა ევროპელმა, რომელთაც თავი მოჰქონდათ თავიანთი კულტურითა და ჰუმანურობით, კულტურისათვის შექმნილი საშიშროება ვერ დაინახეს შავი და მიხაკისფერი ხალათების მოძრაობაში და გულგრილად უცქეროდნენ მეოცე საუკუნის კანიბალების საზარელ პრაქტიკას. გორკი მოგვიწოდებდა ავმხედრებულიყავით თანამედროვე რეაქციის იმ სისხლიანი ცდების წინააღმდეგ, რომ „ფაშიზმის გზით დაგვაბრუნოს ფეოდალური შუასაუკუნეობრიობის ურჯულოებისაკენ". იგი ებრძოდა იმ „ძმათა-ინტელიგენტთა" სიბეცესა და გულუბრყვილობას, რომელთაც არ ესმოდათ, რომ ფაშიზმი ემუქრებოდა კაცობრიობის ცივილიზაციის არსებობას. ფაშიზმის „იდეალი", — განმარტავდა იგი, — არის მთელ მხეცურ ინსტინქტთა, დამანგრეველ მიდრეკილებათა და ვნებათა წაქეზება, რომლებიც განმტკიცებულია „კაცთა ჟლეტის თანამედროვე მექანიკური ტექნიკით".

იმ მრავალი ევროპელისაგან განსხვავებით, რომელთაც მიმართავდა დიდი საბჭოთა მწერალი, რომელთაც გვიან აეხილათ თვალი და რომლებმაც იოლად და სწრაფად შესცვალეს გულმოწყალეობა ფაშისტი მხეცის წინაშე პირუტყვული პანიკით, გორკის ღრმად სწამდა ფაშისტური დიქტატურის დაღუპვის გარდუვალობა. ეჭვის ნატამალი არა სჩანს გორკის მიერ გამოთქმულ აზრებში, იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმ სამყაროს სიმართლესა და ძლიერებაში, რომელიც უპირისპირდებოდა ფაშისტურ ბარბაროსობას. გორკიმ იწინასწარმეტყველა ფაშიზმთან ბრძოლის შედეგი, იწინასწარმეტყველა ჩვენი გამარჯვება ფაშიზმზე. ეს წინასწარმეტყველება ემყარებოდა მწერლის რწმენას სოციალისტური საზოგადოების ძალებისადმი, მშრომელი ხალხის გონებისადმი, მშრომელი ხალხის ზნეობრივი, მორალური უპირატესობისადმი მდიდართა და თაღლითთა საზოგადოების წინაშე.

მწერალი ამ რწმენას გვინერგავდა ჩვენც, საბჭოთა ადამიანებს, და ჩვენს მეგობრებსაც საზღვარგარეთ. გორკი სწერდა: „...ჩვენ უკვე სოციალისტური კულტურის ხალხი ვართ და უიარაღონი როდი ვართ. ჩვენი იარაღი არა მარტო ჰკვიანი, ჩინებული წითელი არმიის მებრძოლთა ხელშია, ეს იარაღია ლენინ-სტალინის ბრძნულ, მთელი მსოფლიოსათვის მხსნელ მოძღვრებაში, ეს იარაღია გრანდიოზულ მუშაობაში ჩვენი თავდაცვისათვის აუცილებელი შრომითი და საბრძოლო ენერგიის განსავითარებლად და დასაგროვებლად".

გორკი თავს აცხადებდა იმ არმიის მებრძოლად, რომელიც კომუნიზმის დროშას მიჰყვება. თავის ერთ-ერთ შესანიშნავ სტატიაში მწერალმა განაცხადა, მე, მოხუცი, რიგით მებრძოლად წავალ იმ ბრძოლაში, წითელ არმიას რომ მოელისო. „ეს იქნება ბრძოლა, — სწერდა იგი, — სადაც მოტყუებული მონების, მხეცური ხელისუფლების დამცველების წინააღმდეგ... დაირაზმება არმია, რომლის ყოველ მებრძოლსაც კარგად ეცოდინება და შეგნებული ექნება, რომ იბრძვის თავისი თავისუფლებისათვის, თავისი უფლებისათვის — იყოს თავისი ქვეყნის ერთადერთი მბრძანებელი. ეს მებრძოლი კიდევაც გაიმარჯვებს".

გორკის სიტყვები წინასწარმეტყველური იყო.

გორკი ჩვენი ხალხის სიბრძნის, მისი სინდისისა და ღირსების, მისი ეროვნული სახელის განსახიერებაა. გორკი დაეცა როგორც მებრძოლი თავის პოსტზე, დაქირავებულ მკვლელთა ხელით, რომელნიც მას შეუჩინა ძველი სამყაროს ბნელეთმა. გორკის ტრაგიკული სიკვდილი ამ სამყაროს საუკუნო მამხილებელი იქნება.

დედამიწამ მხოლოდ ორჯერ შემოურბინა მზეს მას შემდეგ, რაც ბრძოლის ველებზე მისწყდა ზარბაზნის გრიალი, რის მსგავსი არაფერი ახსოვს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. ორ წელზე ცოტა მეტი ხანი გავიდა იმ სასიხარულო მომენტის შემდეგ, როცა ბერლინის ქუჩებში ჩვენმა არმიამ ფაშიზმი დაახრჩო. სამწუხაროდ, ამ ხნის განმავლობაში ზოგი ვინმე კვლავ შეუდგა მარსისადმი თაყვანისცემას, რადგან ფიქრობს, რომ ომი ამა თუ იმ პრობლემათა გადაჭრის ყველაზე რადიკალური საშუალებაა. ჩვენ ძველი და ახალი მსოფლიოს იმ ვაჟბატონებზე ვლაპარაკობთ, რომელთაც მსოფლიო ომმა ვერაფერი ასწავლა და რომელთაც თავისთვის კანონიერად მიაჩნიათ ის გზა, რომელიც თავის დროზე ჰიტლერმა და მუსოლინიმ აირჩიეს. ისინი, ეს ვაჟბატონები, ცოტანი არიან და მათ ნება-სურვილზე ბევრი რამ აღარ არის დამოკიდებული, რადგან მათ უპირისპირდებიან ხალხები, რომელთაც არა სურთ ომის საშინელებათა განმეორება. ომის ახალმა გამჩაღებლებმა მხედველობაში უნდა იქონიონ ისტორიული გამოცდილებაც და კაცობრიობის გონებაც, რომელიც ვერ შეურიგდება იმპერიალისტ მტაცებელთა კასტის უგუნურებას!

გორკის სიტყვა ნამდვილი ჰუმანიზმის სიტყვაა. მისი დამოკიდებულება საგნების, მოვლენებისა და ფაქტებისადმი ნამდვილი, თანმიმდევარი დემოკრატის დამოკიდებულებაა. გორკის ნაწარმოებებში დაგმობილი არიან ახლანდელი „რასისტები", რომლებიც შეუპყრია მიხრწნილი სამყაროს ბებრულ სენს. ზედმეტი არ იქნება, რომ ის, ვინც დღეს ომის მაშხალას ატრიალებს, გაიხსენებდეს გორკის მრისხანე გაფრთხილებას.

ჩვენი გენიოსი მწერლის, დიდი რევოლუციონერის ქმნილებანი გვინერგავენ სიმხნევეს და ჩვენი ძალებისადმი, ჩვენი ისტორიული წინასწარდანიშნულებისადმი რწმენას. უძლეველია ხალხი, რომელმაც წარმოშვა ისეთი ტიტანები, როგორიცაა გორკი.

ი. რიაბოვი

# სტალინური მარშრუტი

## (ამერიკაში ძირდაუშვებელი გადაფრენის 10 წლისთავისათვის)

ათი წლის წინათ, 1937 წლის 18 ივნისის მშვენიერ დილას, მოსკოვის აეროდრომიდან აფრინდა ვალერი პავლეს-ძე ჩკალოვი თავის ორ ამხანაგთან — ბელიაკოვთან და ბაიდუკოვთან ერთად. წითელფრთიან თვითმფრინავზე ამაყად მოსჩანდა წარწერა: „სტალინური მარშრუტი".

ჩკალოვის სამეულს უნდა შეესრულებინა უაღრესად პასუხსაგები ძირდაუშვებელი გადაფრენა ანდრია ნიკოლოზის-ძე ტუპოლევის კონსტრუქციის ერთმოტორიანი საბჭოთა მანქანით, რომელსაც ფრთებზე ჰქონდა სანომრო ნიშნები „№ 0—25". „ამ—34" მოტორი კონსტრუქტორ ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე მიკულინის მიერ იყო შექმნილი. ვინაიდან გადაფრენა ხდებოდა ერთმოტორიანი მანქანით, მისი მუშაობის საიმედოობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მოტორის მაღალ თვისებებში ჩვენ დავრწმუნდით ჯერ კიდევ გადაფრენისათვის მზადებისას.

იმ დროს ჩრდილოეთი პოლუსის გარშემო მდებარე უდაბურ ყინულოვან სივრცეებზე, ჩრდილოეთ ამერიკის მცირედ დასახლებულ მხარეებზე შეერთებულ შტატებში გადაფრენა ბევრს „სიგიჟედ" მიაჩნდა.

ზოგი ამბობდა, რომ ამ მიზნისათვის საჭიროა აუცილებლად მრავალმოტორიანი თვითმფრინავი, ზოგს საეჭვოდ მიაჩნდა ნორმალური ორიენტირებისა და გეოგრაფიული და მაგნიტური პოლუსების რაიონის გადამკვეთი ტრასის უბანზე წინასწარ დასახული კურსის დაცვის შესაძლებლობა. განსაკუთრებით დიდი კამათი იყო გამართული ამის შესახებ ამერიკულ პრესაში. საბჭოთა ხალხის მეგობრებს სჯეროდათ გადაფრენის წარმატება და მოუთმენლად ელოდნენ სტარტის დღეს. მტრულად განწყობილი რეაქციული წრეები მთელი ძალით გაჰყვიროდნენ, რომ, თითქოს, „უშველებელწვერიანი" რუსები მიფრინავენ ამერიკულმოტორიანი თვითმფრინავით, რათა შეამოწმონ „თავიანთი სტრატეგიული პრინციპებიო".

ჩვენმა სამეულმა იცოდა, რომ მას დაკისრებული ჰქონდა უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა. ჩვენ გვევალებოდა გვეჩვენებინა მთელი მსოფლიოსათვის, თუ რამდენად ნაყოფიერია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სტალინური პოლიტიკის შედეგები, რამდენად გაიზარდა საბჭოთა ხალხში ბოლშევიკების მიერ გაღვიძებული ძალები.

ყველასათვის აშკარა იყო, რომ საკუთარი ავიაციის შექმნა, როცა ბოლშევიკებს ამ დარგში მეფის რუსეთისაგან არავითარი მემკვიდრეობა არ მიუღიათ,—უაღრესად რთულ საქმეს წარმოადგენდა. ეს ნიშნავდა—მოკლე დროში აღგვეზარდა კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, მუშათა, მფრინავთა, მეტეოროლოგთა, შტურმანთა ისეთი კადრები, რომლებსაც უნარი ექნებოდათ შეექმნათ ახალი დაზგები, ხარისხოვანი ფოლადი, ქარხნები, სადაც შეიძლებოდა პირველხარისხოვანი მოტორების, ხელსაწყოების, თვითმფრინავების დამზადება. თვითეული თანამედროვე თვითმფრინავის შექმნაში მონაწილეობს ქარხნებისა და მრეწველობის დარგების მთელი კომპლექსი, მუშაობენ სხვადასხვა პროფესიის ათასობით მშრომელნი.

საბჭოთა მშრომელი ხალხის ღირსება, სოციალისტური მრეწველობის ღირსება ჩვენ ამაყად უნდა გაგვეტარებინა ჩვენი მანქანის „ან—25" თვითმფრინავის ფრთებით; ამ გარემოებათა გამო იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა მხოლოდ მრავალი შემოწმების შემდეგ დაგვრთო ნება ამერიკაში გაფრენისა ჩრდილოეთ პოლუსზე გავლით. იგი პირადად ზრუნავდა ჩკალოვის ეკიპაჟზე და მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი მიიღო ძირდაუშვებელი გადაფრენის მომზადების გაუმჯობესებისა და ორგანიზაციისათვის.

ამერიკაში გაფრენამდე ერთი წლით ადრე ეკიპაჟმა შეასრულა ძირდაუშვებელი გადაფრენა ამხანაგ სტალინის მიერ დასახული მარშრუტით: მოსკოვიდან კუნძულ ვიქტორიის, ფრანც იოსების მიწის, ჩრდილოეთი მიწის, შემდეგ იაკუტიის მთიანი რაიონების გავლით კამჩატკამდე და შემდეგ ამურის ნაპირებამდე. ამ გაფრენამ გამოაწრთო ეკიპაჟი და საბჭოთა ხალხს ჩაუნერგა რწმენა, რომ საბჭოთა მფრინავებს შეიძლება დაევალოს რთული ამოცანა. წინასწარ მოეწყო ექსპედიცია, რომელმაც მამაცი მეცნიერების ჯგუფი გადასვა. მათ მიზნად ჰქონდათ საქმიანად, კაპიტალურად და ყოველმხრივ შეესწავლათ ჩრდილოეთი პოლუსის რაიონი. იოსებ ბესარიონის-ძემ მრავალჯერ შეაჩერა ჩვენი ალგზნება, ნებას არ გვაძლევდა გავფრენილიყავით, ვინაიდან ელოდა მოდრეიფე სადგურ „ჩრდილოეთი პოლუსის" მუშაობის შედეგებს. და აი, როცა ამხანაგ კრენკელის დეპეშები რეგულარულად იუწყებოდნენ ჩრდილოეთ პოლუსის რაიონიდან ამხანაგების ფედოროვისა და შირშოვის დაკვირვებების ცნობებს, მაშინ ამხანაგმა სტალინმა მამობრივად გაგვაცილა და წარმატებები გვისურვა.

გაფრენიდან ერთი დღის შემდეგ ჩვენს ქვეშ გადაიშალა ჩრდილოეთი პოლუსის რაიონის უსაზღვრო ყინულოვანი ველები. ჩვენ ყინულზე დაბინავებულ მამაც ოთხეულს ვუსურვეთ ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებანი და მოუთმენლად ვეწყუთ ლოდინი როდის გამოჩნდებოდა ჩრდილოეთ ამერიკის ნაპირები, სადაც უნდა დამთავრებულიყო ყინულოვანი ოკეანის მკაცრი და ერთფეროვანი პეიზაჟები.

რა თქმა უნდა, ეკიპაჟს სიძნელეები ჰქონდა. იყო ზოგიერთი უსიამოვნება მატერიალური ნაწილის მხრივაც. არა ერთხელ ყოფილა მკაცრი წუთები, რომლის განმავლობაშიც სწყდებოდა არა მარტო ეკიპაჟის ბედი, არამედ მთელი გადაფრენის ბედიც. მაგრამ ხომ ამისათვის ემზადებოდა ეკიპაჟი მანქანის გამოცდისა და შემოწმების დროს. ჩვენ უნდა დაგვეძლია ყოველგვარი დაბრკოლება, რადაც უნდა დაგვჯდომოდა. შოყინვა, ჟანგბადის ნაკლებობა და სხვა მოვლენები ეკიპაჟისაგან მოითხოვდნენ არა მარტო ნების სიმტკიცეს, არამედ შეუცდომელი გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარსაც.

გამხნევებულნი ამხანაგ სტალინის მზრუნველი დეპეშით, რომელიც გზაში მივიღეთ, ჩვენ წარმატებით განვაგრძობდით ფრენას მიუხედავად განსაკუთრებით მძიმე მეტეოროლოგიური პირობებისა. ყინულები, ღრუბლები, ძლიერი ქარები, ოკეანის ტალღები, მთები, უკუნეთი სიბნელე — ყველაფერი გავიარეთ, ყველაფერი უკან დარჩა.

ორნახევარი დღეღამის განუწყვეტელი ფრენის შემდეგ წვიმიან ნისლში წითელფრთიანი „სტალინური მარშრუტი" გამოხტა ღრუბლებიდან, გაირბინა ამერიკის მიწაზე და გაჩერდა ვანკუვერის (პორტლანდი) სამხედრო აეროდრომის ანგარის შენობებთან ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. სტალინური მარშრუტი წარმატებით დამთავრდა.

ჩვენი წარმატება უხაროდა საბჭოთა კავშირის ყველა მეგობარს, ცოფსა ჰყრიდნენ რეაქციული პრესის უსინდისო მატყუარები. სიმართლე დაქირავებული პრესის გამყიდველ მჯღაბნიათათვის უაღრესად არასასიამოვნო რამ არის. მაგრამ ფაქტები ჯიუტია,— ამერიკის შეერთებული შტატების ხალხმა გაიგო ჭეშმარიტება დიდი სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ.

ჩკალოვი, ბელიაკოვი და მე გულთბილად მიგვიღო ამერიკელმა ხალხმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა.

უეჭველია, ჩვენს მტრებს ძალიან გაუჭირდათ. ისინი მრავალი წლის მანძილზე ავრცელებდნენ სიცრუეს და უსინდისოდ აწამებდნენ ცილს საბჭოთა კავშირს. ახლა კი ამერიკელ ხალხს შესაძლებლობა მიეცა დარწმუნებულიყო, რომ რუსებს უნარი აქვთ გააკეთონ ისეთი საქმეები, რაც ახალ ფურცელს გადაშლის მსოფლიო გზების განვითარებაში.

მაგრამ რა კარგიც უნდა იყოს სტუმრად ყოფნა, ჩვენ გული გვეწეოდა შინისაკენ, სამშობლოსაკენ, რომლის ღირსებაც ჩვენ გვანდეს ფრთებით გაგვეტარებინა ამერიკის შეერთებულ შტატებამდე. მოსკოვი შეეგება ჩკალოვის სამეულს, როგორც თავის ერთგულ შვილებს, და სტალინმა, ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა, მშობელ მამასავით გულში ჩაგვიკრა და გადაგვკოცნა. სტალინურმა ავიაციამ სერიოზული გამოცდა ჩააბარა, თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

„თვითეულ დღეს, — აღნიშნავდა ამხანაგი ჟდანოვი თავის ცნობილ სიტყვაში,—უფრო მაღლა და მაღლა ავყავს ჩვენი ხალხი. ჩვენ დღეს ის აღარა ვართ, რაც გუშინ ვიყავით, და ხვალ ის აღარ ვიქნებით, რაც დღეს ვართ. ჩვენ უკვე ის რუსები აღარა ვართ, როგორიც 1917 წლამდე ვიყავით, რუსეთიც გამოიცვალა, ჩვენი ხასიათიც გამოიცვალა. ჩვენ შევიცვალეთ და გავიზარდეთ იმ უდიდეს გარდაქმნებთან ერთად, რომლებმაც ძირფესვიანად შესცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე". ჩვენი გადაფრენით მთელ მსოფლიოს დავანახვეთ, რომ რუსეთი გამოიცვალა და რომ რუსმა ბოლშევიკებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ.

მთელ კულტურულ კაცობრიობას შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ გზა, რომლითაც საბჭოთა ხალხი მიდის, ეს არის კულტურის აღმავლობისა და აყვავების გზა. სიმბოლური „სტალინური მარშრუტი" საბჭოთა კავშირის სახელით მოუწოდებდა კაცობრიობას მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცების პოლიტიკისაკენ.

ჩკალოვის ეკიპაჟმა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე დიდ სამამულო ომამდე, რომელშიც საბჭოთა არმიამ მსოფლიო იხსნა ფაშიზმის უღლისაგან, ცხადჰყო, რომ საბჭოთა ადამიანებს მსოფლიოსათვის მოაქვთ სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხთა დაახლოების იდეები. დაე მოგონებამ ჩვენი მეგობრული და მშვიდობიანი გადაფრენის შესახებ მოსკოვიდან ჩრდილოეთი პოლუსით ამერიკაში, დახმარება გაუწიოს ამერიკელებს სწორად შეაფასონ ახალი მსოფლიო ომის ის მომაბეზრებელი, საზიზღარი პროპაგანდა, რომელსაც ეწევიან რეაქციული აგრესიული წრეები.

საბჭოთა ადამიანების მთელი ძალები, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მთელი რესურსები მიმართულია მშვიდობისა და სამეურნეო მშენებლობის ინტერესების დასაცავად.

გ. ბაიდუკოვი

საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი.

# ახალგაზრდა სპეციალისტების ახალი რაზმი

დედაქალაქის უძველეს უმაღლეს სასწავლებელში — ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში შესდგა ახალგაზრდა სპეციალისტების მორიგი გამოშვება. მანქანათმშენებელი მრეწველობის, ზუსტი ხელსაწყოს მშენებლობის და წარმოების სხვა დარგთა ორასამდე ინჟინერი წავიდა ლენინგრადის, ურალის, ალტაის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, შუა აზიის რესპუბლიკების საწარმოებში. სასწავლებლის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ჯგუფი დატოვებულია უმაღლეს სასწავლებელში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

კურსდამთავრებულთა დიდმა უმრავლესობამ ფრიადი და კარგი შეფასება მიიღო სადიპლომო პროექტებისათვის. 16 საუკეთესო კურსდამთავრებული დაჯილდოებულია.

ამჟამად უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი ემზადება სტუდენტთა ახალი შევსების მისაღებად. მისაღები კომისიის სახელზე უკვე შემოვიდა ათასამდე წერილი იმ პირთაგან, რომელთაც სურთ ამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა. (საქდესი).

# ნავთის ახალი ბაზა აზერბაიჯანში

**ბაქო**, 16 ივნისი. (საქდესი). 14 ივნისს ამუშავდა ყაზან-ბულახის 4 ჭაბურღილი, რომლებმაც მოგვცეს პირველი რამდენიმე ათეული ტონა ნავთი. ახალი ხუთწლედის პირმშო „კიროვაბადნეფტის" ტრესტი ჩვენი ქვეყნის მომქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგა.

აზერბაიჯანის ნავთის მუშაკებისათვის ამ სასიხარულო ამბავს მიტინგი მიეძღვნა. აზერბაიჯანის მინისტრთა საბჭოს და აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით ნავთის მუშაკებს მიესალმა აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ალიევი.

ნავთის ახალი ბაზის საწარმოებში გრძელდება სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, შენდება საკომპრესორო სადგური, რეზერვუარები, საცხოვრებელი სახლები, გაჰყავთ გზები, მილსადენები, ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანი ხაზი, ბურღავენ ახალ ჭაბურღილებს.



ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. გ. ტიკარაძე პირველი ბრიგადის ჩაის მკრეფავებს ესაუბრება სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე.
ფოტო რ. კაფოფოვისა

# როგორ ავიღებთ მოსავალს

## (წითელწყაროს რაიონის არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სამუშაო გეგმა)

დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ჩვენმა კოლმეურნეობამ სერიოზული ვალდებულებანი იკისრა. ამ ვალდებულებათა შესრულების საწინდარი უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეთა ენერგიული შრომაა. საგაზაფხულო კულტურების თესვა დავამთავრეთ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში. ნათესები საუცხოოდაა მოვლილი.

წელს კოლმეურნეობას ასაღები აქვს 1.726 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები, აქედან 1.417 ჰექტარი შემოდგომის პური, 138 ჰექტარი ქერი, 146 ჰექტარი გაზაფხულის ქერი, 25 ჰექტარი გაზაფხულის ხორბალი. გვითესია 227 ჰექტარი სიმინდი, 278 ჰექტარი მზესუმზირა, 14 ჰექტარი ლობიო.

ამ კულტურათა თავის დროზე და უდანაკარგოდ აღება იოლი არაა. გადავწყვიტეთ შეგვედგინა მოსავლის აღების კონკრეტული გეგმა. აი რა გავითვალისწინეთ გეგმაში.

### კოლმეურნეობის ძალები და საშუალებანი

კოლმეურნეობას მომსახურებას უწევს შირაქის მტს-ი. ჩვენთან მოსავლის აღებაზე იმუშავებს 8 კომბაინი თავიანთი ტრაქტორებით. მანქანები კარგ მდგომარეობაშია და ვფიქრობთ ისინი შეუფერხებლად იმუშავებენ.

კოლმეურნეობას აქვს 1 ტრაქტორი და 5 ავტომანქანა: 3 სამტონიანი, 1 ხუთტონიანი და 1 ტონანახევრიანი. მანქანები სრულ წესრიგზეა. მარცვლეულის ზიდვაზე იმუშავებს 16 ურემი, 2 ცხენის ოთხთვალა საზიდარი. ამას გარდა, თვითეულ კომბაინზე მიმაგრებულია თითო ცხენის საზიდარი. იმუშავებს 10 სათიბი მანქანა, 4 ფოცხი. მარცვლეულს გასწმენდს 2 ტრიერი. გვაქვს 1 სალეწი მანქანა. თვითეულ ბრიგადაში ეწყობა კალო, სადაც დაიდგმება სასწორი. შერჩეული არიან მწონავები. კოლმეურნეობას აქვს 2.400 ტონის ტევადობის ბეღლები, რომლებიც სავსებით გამზადებულია.

მოსავლის აღების პერიოდში სხვადასხვა სამუშაოზე გამოყენებული იქნება 341 კოლმეურნე, მათ შორის 227 ქალია. დახმარებას გაგვიწევს 40 მოზარდი. მუშახელი განაწილებულია იმის მიხედვით, თუ ვის რა სამუშაოს შესრულება შეუძლია. თუ საჭიროება მოითხოვს, კოლმეურნეობას ჰყავს რეზერვი და 10-15 დღით სხვადასხვა უბნებიდან გადმოვიყვანთ 75 კაცს. კოლმეურნეობის საშუალებანი და ძალები ისეა გაანგარიშებული, რომ მოსავლის აღება დამთავრდეს 20 სამუშაო დღეში.

### შრომის ორგანიზაცია

მემინდვრეობის თვითეული ბრიგადა თავისი ძალებით აიღებს მოსავალს და გასწმენდს მარცვლეულს. საჭიროების შემთხვევაში ბრიგადას დახმარება გაეწევა კოლმეურნეობაში არსებული რეზერვიდან. თვითეულ კომბაინზე იმუშავებს 16 კაცი. კოლმეურნეობაში ხელით მკაზე ყოველდღიურად გამოვა სულ მცირე 80 კოლმეურნე. მარტივ სალეწ მანქანაზე იმუშავებს 25 კაცი, ძნის გამოზიდვაზე—28.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების შესაბამისად მთელი რიგი ღონისძიებები გავატარეთ შრომის მოწესრიგების დარგში. გადასინჯულ იქნა გამომუშავების ნორმები, შეტანილია საჭირო ცვლილებები. მაგალითად, თუ შარშან კოლმეურნეს დღეში 666 კვადრატული მეტრი პურეულის აღებისათვის 1,25 შრომადღე ეწერებოდა, წელს 1.000 კვადრატული მეტრის აღებისას დაეწერება 1,25 შრომადღე.

წინათ ხელით აღებული მოსავალი ზვინებად იდგმებოდა და მტს-ის სალეწ მანქანას ველოდებოდით. წელს ხელით აღებული პურეული საკუთარი სალეწი მანქანით გაილეწება. ყველა სამუშაოზე დაცული იქნება ინდივიდუალური სანარდო სისტემა. ყოველ კოლმეურნეს ეცოდინება, რომელი ნაკვეთია ასაღებად მასზე მიჩენილი და რა დროში უნდა აიღოს იგი.

საჭირო შემთხვევაში ყანას ხელით მოვმკით. სათანადო ინვენტარი მზად გვაქვს. მოსავალი აღებული იქნება ბრიგადების მიხედვით და აღირიცხება ცალცალკე, რომ განაწილების დროს ეს მხედველობაში იქნას მიღებული.

კომბაინების უფრო მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის ვაწყობთ მანქანის გაუჩერებლად მარცვლეულის ურმებში გადაცლას. ამით კომბაინის სამუშაო დღე 3-4 საათით იზრდება.

მტს-თან დადებული ხელშეკრულების თანახმად კომბაინებმა უნდა აიღონ მოსავალი 1.400 ჰექტარზე. კოლმეურნეობაში მტს-მა გამოგზავნა გამოცდილი კომბაინერები ნ. კობაიძე, ღ. ბაიაშვილი, ხ. ბექაური, ტ. გორბიუკოვი და სხვები. თვითეული კომბაინისათვის შედგენილია გეგმა და მოძრაობის მარშრუტი იმის მიხედვით, თუ რომელ ნაკვეთზე როდის შემოვა პური. შარშანდელთან შედარებით წელს მოსავლის აღება 8-10 დღით ადრე იწყება. კომბაინებით მოსავლის აღება 20 დღეში უნდა დამთავრდეს.

კომბაინები რამდენიმე დღის შემდეგ მასობრივად შეუდგებიან პურეულის აღებას. ყველა ნაკვეთი ირგვლივ შემოთიბულია, გზები გაწმენდილია და მომზადებული.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების შემდეგ მტს-იც მეტი მონდომებით ეკიდება მოსავლის აღების საქმეს. მტს-ის მუშაკები მთლიანად პასუხისმგებელი არიან მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის, მაგრამ ჩვენც ვეხმარებით მათ, საჭირო შემთხვევაში მოზარდები აგროვებენ თავთავებს. წინათ, აკრეფილი თავთავები კვირაობით გაულეწავი რჩებოდა, ახლა ამას აღარ დავუშვებთ.

მოსავლის აღების პერიოდში ბრიგადებზე მიმაგრებული არიან კოლმეურნეობის გამგეობის წევრები. ისინი დახმარებას და კონტროლს გაუწევენ ბრიგადებს მუშაობაში. აღებული ნაკვეთის მიღება მოხდება ყოველდღიურად თავმჯდომარის, ბრიგადირის და აგრონომის მონაწილეობით და გაფორმდება სპეციალური აქტით, რომელშიც ნაჩვენები იქნება, თუ რა ვადაშია აღებული ნაკვეთი და როგორია შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

სათესლე ნაკვეთებზე მოსავალს აუცილებლად კომბაინებით ავიღებთ მარცვლეულის სრული სიმწიფის პერიოდში.

### მარცვლეულის გაწმენდა და ჩაბარება

ჩვენი კოლმეურნეობა არასოდეს არ ჩამორჩენილა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების საქმეში. კოლმეურნეებმა კარგად იციან, რომ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება პირველი მცნებაა.

ყოველდღიურად გავლეწავთ 80 ტონამდე მარცვლეულს. გალეწვისთანავე მოხდება მარცვლეულის გაწმენდა. ამ სამუშაოს შეასრულებენ გამოცდილი კოლმეურნეები.

წელს პურის სავალდებულო ჩაბარების გეგმა ჩვენთვის დაწესებულია 139 ტონა. გარდა ამისა, სახელმწიფოს მტს-ის ნატურანაზღაურების ანგარიშში უნდა ჩავაბაროთ მარცვლეული. მოსავლის მასობრივად აღების დაწყების პირველი დღეებიდან დავიწყებთ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას. საკუთარი ტრანსპორტით ყოველდღიურად სახელმწიფო მიმღებ პუნქტში გადავზიდავთ 20-30 ტონას და ვალდებულებას 6-7 დღეში შევასრულებთ.

### აღრიცხვა და მოსავლის დაცვა

მოსავლის ზუსტი აღრიცხვა და დაცვა უმნიშვნელოვანესი საქმეა. მოსავლის აღების მთელ პერიოდში გამოყოფილია 2 მეველე. ყანების სწრაფად შემოვლისათვის მათ ცხენები ჰყავთ. მოსავლის აღრიცხვისათვის პასუხისმგებელი არიან კოლმეურნეობისა და მტს-ის მწონავები. ისინი ჩანაწერებს ერთმანეთთან ადარებენ და გაგზავნილი მარცვლეულის აღრიცხვაზე დღის ბოლოს ერთიმეორეს ხელს უწერენ.

ამავე დროს მარცვლეულის აწონვას ესწრება ბრიგადირი. სუფთა და ნარჩენი მარცვალი ცალცალკე იწონება. ყოველ საღამოს აღრიცხვის სისწორეს ამოწმებს კოლმეურნეობის ბუხჰალტერი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყოველდღიურად იბარებს ჩატარებული მუშაობის ანგარიშს.

მოსავლის აღების პერიოდში სარევიზიო კომისია ყოველდღიურ მეთვალყურეობას გასწევს შემჩნეული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად სასწრაფო ზომებს მიიღებს.

### პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა

მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება მოითხოვს თვითეული კოლმეურნის დაუღალავ შრომას, დიდ ენერგიასა და მონდომებას, დარაზმულობას. ამ საქმეში დიდი როლი პოლიტიკურმასობრივ მუშაობას ენიჭება. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დარგში ახალი ამოცანები დაგვისახეს. ამ ამოცანების განსახორციელებლად კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ მოსავლის აღების პერიოდისათვის შეადგინა პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის კონკრეტული გეგმა. პარტორგანიზაციაში 42 კომუნისტი ითვლება. კომუნისტები ყველა უბანზე მუშაობენ. პირველ ბრიგადაში 3 კომუნისტია, მეორეში—2, მესამეში—3, მეოთხეში — 2. ორ ბრიგადას კომუნისტები ხელმძღვანელობენ. 5 კომუნისტი მერგოლურია. ფერმებში მუშაობს 13 კომუნისტი.

პარტიულმა ორგანიზაციამ ყოველ ბრიგადაში და კომბაინის აგრეგატზე სამუშაოთ შეარჩია აგიტატორები, სულ 20 კაცი. მათ შორის არიან ბრიგადირები, მასწავლებლები. ისინი საუბრებს აწყობენ პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულ ამოცანებზე, შრომის დამატებითი ანაზღაურების წესზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 29 მარტის ბრძანებულებაზე, მნიშვნელოვან საერთაშორისო და საშინაო ამბებზე, კოლმეურნეობაში სამუშაოთა მიმდინარეობაზე და სხვ. ამავე დროს აგიტატორები აცნობენ კოლმეურნეებს მოწინავეთა გამოცდილებას, ამხილებენ ნაკლოვანებებს, ხელს უწყობენ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობას.

აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ვლ. მელიქიშვილი თვეში 3-4-ჯერ იწვევს აგიტატორებს და სათანადო მითითებებს აძლევს. მინდვრად აგიტატორები ყოველ ბრიგადაში 3-5 დღეში ერთხელ უშვებენ საველე გაზეთებს. კოლმეურნეობას აქვს რადიო მიმღები, რომლითაც ყოველდღიურად სარგებლობენ აგიტატორები. მოწინავე აგიტატორებია: სოციალისტური შრომის გმირი ბრიგადირი ს. კობაიძე, მერგოლური მაგდანა ბუჩუკური, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ალ. სეთური, ანა დავითული, ოლია ჯაბანაშვილი და სხვ.

პარტიული ორგანიზაციის გეგმის მიხედვით ეწყობა კინო-სურათის ჩვენება სოფლის ცენტრში სამ დღეში ერთხელ. კინოს მინდვრადაც ვუჩვენებთ.

პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ამოწმებს დავალებათა შესრულების მიმდინარეობას, ეხმარება კომუნისტებს, რათა ისინი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში იდგნენ, რომ მოსავალი სწრაფად და უდანაკარგოდ იქნას აღებული.

* * *

მოსავლის აღების ამ გეგმის მიხედვით უკვე შევუდექით მუშაობას. არ დავზოგავთ ჩვენს ენერგიას და ძალებს მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის, პირნათლად შევასრულებთ დიდი სტალინისათვის მიცემულ პირობას.

ივ. ქავთარაძე — სოციალისტური შრომის გმირი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
ი. პატაშური — პარტიული ორგანიზაციის მდივანი,
ბრიგადირები: ს. კობაიძე — სოციალისტური შრომის გმირი,
ალ. სეთური — შრომის წითელი დროშის ორდენოსანი,
მერგოლურები: მაგდანა ბუჩუკური და თამარ ხარხელაური.

# პრემიები ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სელექციონერებს

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო შეუდგა საუკეთესო სელექციონერებისა და სასელექციო სადგურებისათვის მორიგი პრემიების მიცემას მათ მიერ გამოყვანილ მარცვლეულ კულტურათა ჯიშებისათვის. სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებით ამ პრემიების გაცემა ყოველ წელიწადს ხდება. პრემიების ოდენობა დამოკიდებულია სელექციონერის ჯიშით დაკავებული სამეურნეო ნათესის ფართობზე. 50 ათას მანეთ პრემიას იღებს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სელექციონერი ნ. ვ. რუდნიცკი, რომელსაც ამ დღეებში მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება. მის მიერ გამოყვანილი ჭვავი „ვიატკა", ქერი „ვინერი" და შვრია „მირაჟი" ჩვენი ქვეყნის ათობით ოლქში ითესება. უკანასკნელ ხანს სელექციონერმა გამოიყვანა საშემოდგომო ხორბალი „ლიუტესცენს 116". ეს ჯიში კარგად იტანს ცივ ზამთარს და ჩრდილოეთშიც იმდენ მოსავალს იძლევა, რამდენსაც სამხრეთში.

50 ათას მანეთ პრემიას იღებს აგრეთვე სტალინური პრემიის ლაურეატი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ა. პ. შეხურდინი. მის მიერ გამოყვანილ საგაზაფხულო ხორბლის ჯიშებს უდიდესი ფართობები უჭირავს. ეს ჯიშები საუკეთესო ხარისხის ფქვილსა და პურს იძლევიან.

მარცვლეულ კულტურათა ჯიშების გამოყვანისათვის დიდი პრემიები მიეცათ ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრს პ. ნ. კონსტანტინოვს, პროფესორ ვ. პ. იურიევს და ჩვენი ქვეყნის სხვა სელექციონერებს. (საქტასი).

# ჩაის ფოთლის კრეფა

## (საქართველოს სსრ ჩაის ტრესტის ცნობებით)

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 15 ივნისისათვის მოკრიფეს 11.680,4 ტონა ჩაის ფოთოლი, წლიური გეგმა შეასრულეს 38,9 პროცენტით, ივნისისა—50,6 პროცენტით.

ბათუმის რაიონში ჩაის კრეფის ივნისის გეგმა შესრულებულია 45,4 პროცენტით, ქობულეთის—70,1, გალის—47,2, ოჩამჩირის—40,6, გულრიფშის—29, სოხუმის—58,8, გუდაუთის—20,8, მახარაძის—42,9, ჩოხატაურის — 32,3, ლანჩხუთის—58,5, სამტრედიის—54,3, წულუკიძის — 55, ქუთაისის — 70,7, წყალტუბოს—74,8, ტყიბულის—71,9, ცხაკაიას—40,4, აბაშის—74,8, გეგეჭკორის—53,6, ზუგდიდის—42,8, წალენჯიხის—65,4, ჩხოროწყუს — 42,3, ხობის—35,8, ჩხარის—47,5, ზესტაფონის—42,5 პროცენტით.

ქობულეთის, მახარაძის, ზუგდიდის, ხობისა და გუდაუთის რაიონების ცნობები არასრულია.

# აბრეშუმის პარკის დამზადება

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს 15 ივნისის ცნობებით, სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის ჩაბარების წლიური გეგმა მარნეულის რაიონში შესრულებულია 87,5 პროცენტით, წითელწყაროს რაიონში — 50,6, სიღნაღის—27,7, ლაგოდეხის — 55,8, გურჯაანის—10, კაჭრეთის—25,4, ყვარლის—57,8, თელავის—46,4, ახმეტის—75,9, საგარეჯოს—29,5, თბილისის—16,1, მცხეთის—28,4, კასპის—17, გორის—6,7, გარდაბნის—67,3, ბოლნისის—59,5, ორჯონიკიძის—6,9, ზესტაფონის—42,3, ჩხარის—1,5, საჩხერის—12,1, ქუთაისის—73,8, წყალტუბოს—47,8, სამტრედიის—41,8, წულუკიძის—47,4, ვანის—40,4, მაიაკოვსკის —41, ტყიბულის—26,2, ცაგერის — 12,1, მახარაძის—3,1, ლანჩხუთის — 57,6, ჩოხატაურის—9, აბაშის—25,1, გეგეჭკორის—12,6, ცხაკაიას—11,7, ხობის—7,6, ზუგდიდის—35,8, წალენჯიხის—14,2, ჩხოროწყუს—18,5, გალის—2,1, ოჩამჩირის—2,4, გულრიფშის — 3,5, სოხუმის—20,4, გუდაუთის — 8, გაგრის—12,3, ქალაქ ქუთაისში—88,8, ფოთში—70, აჭარის ასს რესპუბლიკაში —16 პროცენტით.

# საკოლმეურნეო თვითმოქმედი მხატვრული წრეების დათვალიერება

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXX წლისთავთან დაკავშირებით ტარდება კოლმეურნეობებთან არსებული თვითმოქმედი მხატვრული წრეების რესპუბლიკური და საკავშირო დათვალიერება.

საკოლმეურნეო მხატვრული წრეებისათვის სისტემატური დახმარების გაწევის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან ჩამოყალიბდა მუსიკალური, თეატრალური, სახვითი და ქორეოგრაფიული ხელოვნების სპეციალისტთა ბრიგადები.

6 ივნისს, პირველი ბრიგადა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ გრიგოლ კოკელაძის ხელმძღვანელობით გაემგზავრა მახარაძის და ზუგდიდის რაიონებში.

ორი ასეთივე ბრიგადა გაემგზავრა ზესტაფონის, ჭიათურის, გურჯაანისა და გორის რაიონებში.

# სამუელ ბუაჩიძე

## (65 წელი დაბადებიდან)

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ერთგული შვილის სამუელ (ნოე) ბუაჩიძის სახელს კარგად იცნობდნენ არამარტო საქართველოსა და ამიერკავკასიის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელებიც.

სამუელ ბუაჩიძე დაიბადა 1882 წლის 18 ივნისს ახლანდელი ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ფარცხნალში. ხარაგოულის ორკლასიან სასწავლებელში ყოფნისას იგი გაეცნო სოციალიზმის მოძღვრებას და აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა მოძრაობაში, რისთვისაც სკოლიდან გარიცხეს. შემდეგ ს. ბუაჩიძე შევიდა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში. ქუთაისში იგი ახლოს გაეცნო ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის წევრებს და პარტიის ერთ-ერთი აქტიური მუშაკი გახდა.

რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისში სამუელ ბუაჩიძე ხარაგოულში მასწავლებლობდა. იგი, უკვე შეგნებული ბოლშევიკი, გამოცდილი ორგანიზატორი, მხურვალე აგიტაციას ეწევა გლეხთა შორის. მისი ინიციატივით ხარაგოულის ბოლშევიკები არალეგალურ მუშაობასთან ერთად ლეგალურ საქმიანობასაც ეწევიან. მათ გახსნეს კოოპერატივი, სახალხო სამკითხველო.

1905 წლის დასაწყისიდან სამუელ ბუაჩიძე სერგო ორჯონიკიძესთან და სხვებთან ერთად მოწინავეთა რიგებში იბრძვის თვითმპყრობელობის დასამხობად. როდესაც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით კავკასიის მშრომელები შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდნენ, სამუელ ბუაჩიძე პარტიის დავალებით ადგენს წითელ რაზმს, რომელსაც თვითონ მეთაურობს. შორაპნის მაზრაში, ისე როგორც მთელ საქართველოში, წითელი რაზმები გმირულად იბრძოდნენ არსებული რეჟიმის დასამხობად. მტკიცე ბოლშევიკი ს. ბუაჩიძე დიდ მუშაობას ეწეოდა შორაპნის მაზრაში, ამხილებდა მენშევიკების, ესერების, ფედერალისტებისა და სხვათა წინააღმდეგ, აშკარავებდა მათ გამცემლურ საქმიანობას და გაბედულად იცავდა ლენინ-სტალინის ხაზს.

სამუელ ბუაჩიძე ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკურ წითელ რაზმებს 1905 წელს დეკემბრის დღეებში წიფის გვირაბთან მომხდარ ცნობილ ბრძოლაში. აქ წითელმა რაზმებმა განაიარაღეს მეფის ჯარის ტენგინსკის პოლკი. ს. ბუაჩიძე განუხრელად ატარებდა ცხოვრებაში დიდი სტალინის მითითებებს წითელი რაზმის შემადგენლობის შერჩევის, იარაღის შეძენის, სამხედრო მოქმედების გეგმის შემუშავებისა და სხვა საკითხებში.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიაში დამსჯელი ექსპედიციები სასტიკად უსწორდებოდნენ რევოლუციური მოძრაობის მონაწილეებს. პოლიციამ ვერ შესძლო სამუელ ბუაჩიძის დაპატიმრება, და სამხედრო საველე სასამართლომ მას დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილით დასჯა.

სამუელ ბუაჩიძემ მოახერხა ჩრდილოკავკასიაში გადასვლა, სადაც რეაქციის წლებში არალეგალურად მუშაობდა ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, რაზმავდა ბრძოლისათვის გროზნოს ნავთის მუშებს. ამ დროს ს. ბუაჩიძე კარგად გაიცნეს თერგ-დაღისტანის ბოლშევიკებმა. შემდეგ იგი დონის როსტოვში გადადის და შეუნელებელი ენერგიით ეწევა მუშაობას მუშებს შორის. როსტოვიდან ს. ბუაჩიძე მოსკოვში მიდის. აქ იგი დააპატიმრეს, მაგრამ მეფის პოლიციამ ვერ შესძლო მისი ნამდვილი ვინაობის გამორკვევა, რადგან სხვისი სახელითა და გვარით ცხოვრობდა. მას ბრალი დასდეს, მხოლოდ როგორც ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრს, და 4 წლით საკატორღო მუშაობა, ხოლო შემდეგ ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს.

1911 წელს გადასახლებიდან გამოქცეული ს. ბუაჩიძე კვლავ საქართველოში დაბრუნდა, ხოლო შემდეგ იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. იგი მოგზაურობს ჯერ თურქეთში, შემდეგ ბულგარეთში და ბოლოს ჟენევაში მიდის. აქ სამუელ ბუაჩიძე პირადად ეცნობა ვ. ი. ლენინს, ასრულებს მის დავალებებს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციისთანავე ს. ბუაჩიძე რუსეთში ჩამოდის. 1917-1919 წლებში ვ. ი. ლენინის დავალებით ის მიემგზავრება ჩრდილო-კავკასიაში, სადაც ენერგიულ მუშაობას აწარმოებს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ს. ბუაჩიძე რაზმავს თერგის ოლქის მშრომელებს კონტრრევოლუციური გენერლების და კაპიტალისტ-მემამულეთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მან ჩრდილო კავკასიის მშრომელთა დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ხალხი მასში ხედავდა თავისი ინ-



ტერესების შეუპოვარ დამცველს. მისი სახელი ფართოდ იყო ცნობილი. თერგის გენერლები, ესერები, მენშევიკები სამუელ ბუაჩიძეს თავიანთ მოსისხლე მტრად თვლიდნენ. ბოლოს მათ კიდეც მოახერხეს ს. ბუაჩიძის დაპატიმრება, მაგრამ ჩრდილო-კავკასიის ბოლშევიკებისა და ხალხის კატეგორიული მოთხოვნით იძულებული იყვნენ იგი კვლავ გაეთავისუფლებინათ.

სამუელ ბუაჩიძე ითვლება თერგდაღისტანში საბჭოების ერთ-ერთ ორგანიზატორად. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მოზდოკისა და პიატიგორსკის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყრილობები. ამ ყრილობებზე იგი აირჩიეს თერგის ოლქში რევოლუციური წესრიგის დაცვის კოლეგიის თავმჯდომარედ. „რევოლუცია აქ გამარჯვებას ზეიმობს", — სწერდა მაშინ ს. ბუაჩიძე თავისიანებს საქართველოში.

სამუელ ბუაჩიძემ თვალსაჩინო როლი შეასრულა საქართველოსა და ამიერკავკასიაში თეთრგვარდიელებისა და ხალხის სხვა ჯურის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჰქონდა რა მჭიდრო კავშირი ამიერკავკასიის ბოლშევიკებთან, მან შესძლო ჩრდილო კავკასიიდან გზა გადაეღობა საქართველოში მომავალი კონტრრევოლუციური ძალებისათვის.

პიატიგორსკში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას სამუელ (ნოე) ბუაჩიძე არჩეულ იქნა თერგის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს პირველ თავმჯდომარედ. ს. მ. კიროვთან ერთად იგი დაუღალავად მუშაობდა ლენინისა და სტალინის მითითებათა განხორციელებისათვის, ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. ხალხის მტრებმა 1918 წლის 20 ივნისს სამუელ ბუაჩიძე მოჰკლეს, როდესაც იგი სიტყვით მიმართავდა წითელი არმიის ნაწილებს.

დიდი პატივისცემით გამოაცილეს სამუელ ბუაჩიძის ცხედარი თერგის რესპუბლიკის მშრომელებმა. საქართველოს ბოლშევიკებმა ს. ბუაჩიძის გასვენება გადააქციეს მენშევიკებისა და კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ პროტესტის მძლავრ დემონსტრაციად.

სამუელ ბუაჩიძე დაკრძალულია ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ფარცხნალში.

შეუდრეკელი რევოლუციონერის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ერთგული შვილის სამუელ (ნოე) ბუაჩიძის ხსოვნას წმიდად ინახავენ ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ხალხები. ის საქმე, რასაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე შესწირა სამუელ ბუაჩიძემ, ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა.

ლ. ივანიშვილი

# კოტე მარჯანიშვილის საღამო ჭიათურაში

ჭიათურის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა დიდი რეჟისორის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის კოტე მარჯანიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მ. ჩირინაშვილი. მოგონებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ალ. წუწუნავა და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ცომაია.

შემდეგ წარმოდგენილ იქნა სპექტაკლების — „ყვარყვარე თუთაბერისა" და „ქრისტინეს" თითო მოქმედება. ბოლოს გაიმართა კონცერტი ვ. ბიწაძის ხელმძღვანელობით.

პ. ჟიოკაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# ახალი წიგნი

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა გამოსცა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ იულონ ნიკოლოზის-ძე ლომოურის ნაშრომი — „მარცვლეული კულტურები".

წიგნში გაშუქებულია თავთავიანი მარცვლეული კულტურების სახალხო ეკონომიური მნიშვნელობა, მოცემულია ცალკეულ კულტურათა დახასიათება, დასმული და გადაწყვეტილია თვითეული კულტურის აგროტექნიკის პრაქტიკული საკითხები ჩვენი ქვეყნის პირობების შესაბამისად.

წიგნის მიზანია დაეხმაროს სტუდენტობას, სპეციალისტებსა და კოლმეურნეებს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესწავლაში.

# მოლაპარაკება ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის დროებითი მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ

**ბელგრადი**, 16 ივნისი. (საქდესი). როგორც ტანიუგის კორესპონდენტი ტრიესტიდან იუწყება, გაზეთებმა „ილ ლავორატორემ" და „პრიმორსკი დნევნიკმა" გამოაქვეყნეს იულიის კრაინისა და ტრიესტის სლოვენურ-იტალიური ანტიფაშისტური კავშირის („სიაუ") მთავარი აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ბრანკო ბაბიჩის სტატია იმ მოლაპარაკების შესახებ, რაც უკანასკნელ ხანს სწარმოებს ერთი მხრით სიაუს წარმომადგენლებსა და იულიის კრაინის კომპარტიას, ხოლო მეორე მხრით იმ პარტიებს შორის, რომლებიც წინათ „ეროვნული განთავისუფლების კომიტეტში" შედიოდნენ, — ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის დროებითი მთავრობის შემადგენლობის შესახებ პოლიტიკური პარტიებისა და ეროვნული ჯგუფების პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე.

საზოგადოებრივი აზრი, ნათქვამია სტატიაში, დღემდე არ ყოფილა ინფორმირებული ამ მოლაპარაკების შესახებ, თუმცა ამას დაჟინებით მოითხოვდნენ „სიაუს" და კომპარტიის წარმომადგენლები. როგორც ავტორი აღნიშნავს, მოლაპარაკების გამოქვეყნებას წინაღუდგნენ ცნობილი ჯგუფები, რომლებსაც გულწრფელად არასოდეს არ სურდათ შეთანხმება. შეთანხმების მისაღწევად, რასაც „სიაუს" და კომპარტიის წარმომადგენლები სასარგებლოდ და საჭიროდ სთვლიდნენ, ისინი მთელ რიგ დათმობებზე წავიდნენ. მაგრამ მათ განაცხადეს, რომ ხელს ვერ მოაწერენ ვერავითარ შეთანხმებას „ფრონტე დელ უომო კუალუნკუეს" („ობივატელის ფრონტი") მოძრაობასთან, ვინაიდან, როგორც ბაბიჩი სწერს, „ეს იქნებოდა იმ ადამიანებთან შეთანხმება, რომელთაც არა თუ კავშირი არ გაუწყვეტიათ ფაშისტურ წარსულთან, არამედ ნეოფაშიზმის დამცველებიც არიან". „ჩვენ ვფიქრობდით, ხაზს უსვამს ბაბიჩი, რომ ვერ გავამართლებდით ასეთ საქციელს ტრიესტის დემოკრატიული საზოგადოებრიობის წინაშე, რომელიც სრულიად სამართლიანად გაგვკიცხავდა იმისთვის, რომ ჩვენ ფაშიზმთან ბრძოლის ნაცვლად მასთან შეთანხმებაზე წავედით".

როცა „სიაუს" და კომპარტიის პოზიცია სრულ გაუგებრობას წააწყდა ყოფილი ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის პარტიების მხრით და მოლაპარაკების ჩაშლის საფრთხე წამოიჭრა, კომპარტია და „სიაუ" უკანასკნელ დათმობაზე წავიდნენ. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან ხელი მოაწერონ შეთანხმებას მთლიანად მემარჯვენე ჯგუფთან, ეგრეთწოდებულ „ეროვნული თავისუფლების კავშირთან", რომელშიც შედის „ფრონტე დელ უომო კუალუნკუეს", იმ პირობით, თუ ეს მოძრაობა მოხსენიებული არ იქნება შეთანხმებაში და თუ დანარჩენი ჯგუფები სიტყვიერად იკისრებენ ვალდებულებას არ დაეთანხმონ დროებითი მთავრობის შემადგენლობაში „ფრონტე დელ უომო კუალუნკუეს" წარმომადგენლის შეყვანას. „ეს,—სწერს ბაბიჩი, — იყო ჩვენი უკანასკნელი დათმობა, რაც იქითკენ იყო მიმართული, რომ საბოლოო შეთანხმებისათვის მოგვეღწია. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ტრიესტის დემოკრატიული საზოგადოებრიობა მიხვდებოდა ჩვენს ღონისძიებებს...".

ამ კომპრომისულ წინადადებას დაეთანხმა ყოფილი ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის ყველა პარტია, მაგრამ უკანასკნელი თათბირის წინ, როცა გვეგონა, რომ შეთანხმებისათვის ყველა წინაპირობა არსებობდა, ყოფილი ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის პარტიების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მოლაპარაკების განგრძობაზე. ამრიგად, აღნიშნავს ბაბიჩი, გაიმარჯვეს იმ ძალებმა, რომლებიც მოლაპარაკების მთელი ხნის განმავლობაში შეუპოვრად იბრძოდნენ ყოველგვარი შეთანხმების წინააღმდეგ. „ეს იგივე ძალებია,— სწერს იგი, — რომლებმაც დე გასპერის მეთაურობით იტალიაში მთავრობიდან გამოიყვანეს მშრომელთა ნამდვილი წარმომადგენლები და ხელისუფლება ჩაუგდეს ხელში რეაქციის ძველ წარმომადგენლებს, რომელთაც უკვე გააჩნიათ იმის გამოცდილება, თუ როგორ გაუკაფონ გზა ნეოფაშიზმს".

იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ბაბიჩი ეხება, ტრიესტის განმათავისუფლებელი სკუპშჩინის თავმჯდომარემ დოქტორმა პოგასიმ „ილ ლავორატორეს" კორესპონდენტს განცხადება გაუკეთა.

„სიაუს", კომპარტიასა და ყოფილი ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის პარტიებს შორის მოლაპარაკების დასაწყისში, სთქვა პოგასიმ, სწარმოებდა იმ საკითხთა განხილვა, რომლებიც ეხება სახელმწიფო მმართველობის რეორგანიზაციას, ცალკეული სამინისტროებისა და სხვა დაწესებულებათა ჩამოყალიბებას. ეროვნული თანასწორუფლებიანობის საკითხში უთანხმოებას გარდა, საწინააღმდეგო თვალსაზრისები იყო აგრეთვე მომავალი კანონმდებლობისა და უფლებრივი წყობის საკითხებში. ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის პარტიათა წარმომადგენლები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ „ბ" ზონის (რომელიც იუგოსლავიის სამხედრო ადმინისტრაციის მმართველობაშია, —რედ.) რაიონები, რომლებიც ტრიესტის ტერიტორიის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ, ადმინისტრაციული და უფლებრივი წყობის მხრივ კვლავ ისეთსავე მდგომარეობაში იქნან ჩაყენებული, როგორიც „ა" ზონაში არსებობს. ბუნებრივია, განაცხადა პოგასიმ, რომ ჩვენ ვერ დავეთანხმებოდით ხალხის ისეთ მონაპოვართა ლიკვიდაციას, როგორიცაა აგრარული რეფორმა, სახალხო კომიტეტები და სასამართლოები, მუშათა რწმუნებულები საწარმოებში და სხვა. პოგასიმ განაცხადა, მოლაპარაკების ჩაშლა და ის პოზიცია, რომელიც უკანასკნელ მომენტში ყოფილი ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის პარტიებმა დაიკავეს, იმ ამბების უშუალო შედეგია, რაც ამ ცოტა ხნის წინათ იტალიაში მოხდა დე გასპერის მიერ გამოწვეულ მთავრობის კრიზისთან დაკავშირებით.

# რამადიეს მთავრობასა და საფრანგეთის პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის მოლაპარაკების გამო

**პარიზი**, 16 ივნისი. (საქდესი). მას შემდეგ, რაც საფრანგეთის რკინიგზელთა გაფიცვა დამთავრდა იმით, რომ მთავრობა დათანხმდა დააკმაყოფილოს გაფიცულთა მოთხოვნა, უკანასკნელი დღეების განმავლობაში ერთის მხრით მთავრობასა და მეორე მხრით პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და მეწარმეთა შორის გრძელდებოდა მოლაპარაკება ხელფასის გადასინჯვის და, კერძოდ, გადამუშავებისათვის პრემიების გაცემის შესახებ. 15 ივნისს მუშაობა დაამთავრა საუწყებათაშორისო ტექნიკურმა კომისიამ, რომელიც სწავლობდა გადამუშავებისათვის პრემიების გაცემის საკითხს. კომისიამ მთავრობას წარუდგინა თავისი დასკვნები.

15 ივნისს საღამოს საფრანგეთის შრომის მინისტრმა დანიელ მეიერმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა და გამოაცხადა მთავრობის გადაწყვეტილება ამ საკითხზე. მინისტრმა განაცხადა: „საფრანგეთის მთელი ეკონომიკისათვის რისკის შეუქმნელად შეუძლებელია დაწესდეს ერთგვაროვანი პრემია. ასეთი პრემიები შეიძლება მიეცეს მხოლოდ საწარმოს ფარგლებში ან, უკეთ, საწარმოთა კატეგორიების ფარგლებში, ისიც მხოლოდ მეწარმეთა და მუშათა შეთანხმების შედეგად". „ეს პრემიები, — განაგრძო მინისტრმა, — უნდა იყოს გამომუშავების გადიდების, ან უფრო უკეთ — შრომის ნაყოფიერების კოლექტიურად გადიდების შედეგი".

შრომის საყოველთაო კონფედერაციის წარმომადგენლებმა ტოლემ და ლებრენმა, რომლებიც გუშინ მიიღო დანიელ მეიერმა, მთავრობის ამ გადაწყვეტილების გამო განაცხადეს, რომ მთავრობა, „დაპირების მიუხედავად, არ აწესებს გამომუშავებისათვის სავალდებულო პრემიების ოდენობას. იგი ამ პრემიების განსაზღვრის საკითხს განსახილველად აძლევს მეწარმეებსა და მუშებს. ასეთმა გადაწყვეტილებამ შეიძლება წარმოშვას ახალი დაბრკოლებანი და ახალი სიძნელენი". დასასრულ შრომის საყოველთაო კონფედერაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა და რომ მუშები კვლავინდებურად განაგრძობენ ბრძოლას საწარმოებში.

ადგილობრივ ჟურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ: მთავრობის გადაწყვეტილება იმას მოწმობს, რომ იგი არსებითად უარს აცხადებს დააკმაყოფილოს პროფკავშირულ ორგანიზაციათა მოთხოვნა პრემიების ანაზღაურების შესახებ და ამ საკითხის გადაჭრას თვით მეწარმეებს ანდობს.

მთავრობის ახალი გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, ვერ შეამსუბუქებს ეკონომიური მდგომარეობის დაძაბულობას საფრანგეთში. უკვე მწიფდება ახალი კონფლიქტები იმასთან დაკავშირებით, რომ პარიზის მელითონეებს, მაღაროელებს, ბანკებისა და სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეებს განზრახვა აქვთ წამოაყენონ ხელფასთან დაკავშირებული მოთხოვნები. შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალი მოსამსახურეთა პროფკავშირების ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა კაპოჩიმ განაცხადა, რომ ფედერაციამ გადაწყვიტა ჩაატაროს ბანკების მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც 19 ივნისს დაიწყება. უკვე ერთი კვირაა გრძელდება მარსელის ტრამვაელთა გაფიცვა.

17 ივნისს ვენსან ორიოლის თავმჯდომარეობით შესდგება საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილულ იქნება საფრანგეთის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა.

## იტალიის დამფუძნებელი კრების რწმუნებათა განგრძობა

**რომი**, 15 ივნისი, (საქდესი). როგორც ანსას სააგენტო იუწყება, დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა კანონპროექტი, რომლის ძალითაც კრების რწმუნებანი გაგრძელებულია 1947 წლის 31 დეკემბრამდე.

# გაიხსნა სრულიად სლავთა კომიტეტის პლენუმი

**ვარშავა**, 16 ივნისი. (საქდესი). დღეს აქ გაიხსნა სრულიად სლავთა კომიტეტის მეორე პლენუმი. პლენუმს ესწრებიან სსრ კავშირის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის დელეგაციები — სულ 40-მდე კაცი. დღის წესრიგის დამტკიცებისა და სარედაქციო კომისიის არჩევის შემდეგ პლენუმმა მოისმინა სრულიად სლავთა კომიტეტის თავმჯდომარის მასლარიჩის მოხსენება. პლენუმმა მქუხარე ტაშით მიიღო მისასალმებელი დეპეშა გიორგი დიმიტროვისადმი მისი დაბადების 65 წლისთავთან და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

## ლიდიცეს აღდგენა

**პრაღა**, 17 ივნისი. (საქდესი). როგორც პრაღის რადიო გადმოგვცემს, 15 ივნისს საზეიმო ვითარებაში დასდეს პირველი ქვა გერმანელთა მიერ მოსპობილ სოფელ ლიდიცეს ადგილას ახალი სოფლის მშენებლობისათვის. ზეიმს დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ნოსეკი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი რიპკა, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი კლემენტისი, ქალაქ პრაღის პრიმატორი ვაცეკი და სხვები.

საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანმა კლემენტისმა თავის სიტყვაში განაცხადა: „გაკეთებულია ყოველივე იმისათვის, რომ სოფელ ლიდიცეს ტრაგედია აღარ გამეორდეს. ჩეხოსლოვაკიელი ხალხისა და მთელი მსოფლიოს ინტერესებისათვის ჩეხოსლოვაკიიდან გასახლებულ იქნენ გერმანელები, რომლებმაც ჰიტლერს გაუწიეს ჩეხოსლოვაკიის მოსასპობად მიმართული დახმარება.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ მთელი რიგი ხელშეკრულებები დასდო სლავურ სახელმწიფოებთან, რომლებიც ეხმარებიან და დაეხმარებიან ჩეხოსლოვაკიელ ხალხს ომისშემდგომ სიძნელეთა გადალახვაში. ამიერიდან, სთქვა კლემენტისმა, ლიდიცე იქნება არა მარტო გერმანელთა მხეცობის სიმბოლო, არამედ, ახალი მშენებლობის სიმბოლოც.

# „ბერლინერ ცაიტუნგი" გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ ზონაში სამხედრო დამნაშავეებისადმი ნაყრუების შესახებ

**ბერლინი**, 17 ივნისი. (საქდესი). გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი" იუწყება, რომ უნგრეთის ყოფილი ფაშისტი რეგენტი ჰორტი მშვენივრად მოეწყო გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ ზონაში და ველჰაიმის (ბავარია) სასახლის შეძენაც კი მოახერხა.

ამავე დროს ჩვენ ვკითხულობთ, განაგრძობს გაზეთი, რომ ჟალმარ შახტმა მოგზაურობა დაიწყო, თუმცა, როგორც ცნობილია, იგი დაპატიმრებული იყო და მისი საქმე დამთავრებული სჩანდა. ჯერ კიდევ არავინ იცის, შახტსაც მიეცემა თუ არა სასახლე... როგორც ამბობენ, იგი გამოწვეულია საგანგებო დაკითხვისათვის ამერიკელ ხელისუფალთა მიერ. ერთ-ერთ თავის პრეს-კონფერენციაზე, რომელთა მოწყობის შესაძლებლობაც მას ჰქონდა გამართლების შემდეგ, შახტმა განაცხადა, რომ შეიმუშავა „გერმანიის ეკონომიური აღდგენის გეგმა". თავის მხრივ ამერიკული გაზეთი „დეილი ნიუსი" სწერდა: „ჩვენ გვგონია, რომ შახტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა მოჰკიდოს ხელი ამ ამოცანას".

შემდეგ „ბერლინერ ცაიტუნგი" იუწყება, რომ ფრიჩე დანიშნული იყო საპყრობილის გაზეთის მთავარ რედაქტორად. „მართალია, — აღნიშნავს გაზეთი,—ახლა მას კვლავ ჩამოართვეს ლიცენზია, მაგრამ რატომ? როგორც მთავარი ამერიკელი ხოლმდებლის მოადგილემ განმარტა, „ამერიკის პროკურატურის მიერ ფრიჩესათვის ახალი გაზეთის გამოცემის უკვე მიცემული ნებართვის გაუქმების მიზეზი გახდა მრავალი პროტესტი ამ ნებართვის წინააღმდეგ".

# გამოძიება ფერენც ნადისა და ბელა ვარგას საქმის გამო

**ბუდაპეშტი**, 16 ივნისი. (საქდესი). იუსტიციის მინისტრის განკარგულებით ბუდაპეშტის სახალხო პროკურატურამ დაიწყო ფერენც ნადისა და ბელა ვარგას საქმის გამოძიება. ამასთან დაკავშირებით დაკითხული არიან შეთქმულების ხელმძღვანელები „შეიდთა კომიტეტის" წევრები ბალინტ არანი, დომოკოშ სენტ-ივანი, რომლებმაც, როგორც გაზეთი „საბად ნეპი" იუწყება, ფერენც ნადი არაერთხელ ყოფილა „უნგრეთის ერთობის" თათბირებზე, ხოლო ნადის ქუჩაზე მდებარე შენობაში უშუალოდ ეცნობოდა შეთქმულთა მუშაობას.

„საბად ნეპის" ცნობით, დომოკოშ სენტ-ივანიმ აჩვენა, რომ ფერენც ნადს სისტემატური კავშირი ჰქონდა ჰორტის საზღვარგარეთ დარჩენილ დიპლომატებთან ანტალ რადვანსკისა და დიერდ ბაკაჩ-ბეშენეისთან. სენტ-ივანიმ დაადასტურა ფერენც კაპოჩის ჩვენებიდან უკვე ცნობილი ფაქტები იმის შესახებ, რომ უნგრეთის მთავრობის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ ფერენც ნადმა ბაკაჩ-ბეშენეის საიდუმლო მითითება მისცა არ დაებრუნებინა უნგრეთის ფასეულობანი, კერძოდ ექვსი მილიონი შვეიცარული ფრანკი, რაც ბაკაჩ-ბეშენეისთან ინახებოდა.

ბელა ვარგას შესახებ სახალხო პროკურორმა დაკითხვის მსვლელობაში გამოარკვია, რომ ეროვნული კრების ყოფილმა თავმჯდომარემაც იცოდა „უნგრეთის ერთობის" არსებობა.

გამოძიება გრძელდება.

# ფერენც ნადი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა

**ნიუ-იორკი**, 15 ივნისი. (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, შვეიცარიიდან ნიუ-იორკში ჩამოვიდა უნგრეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ფერენც ნადი. იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ უნგრული წარმოშობის ამერიკელ მოქალაქეთა ჯგუფმა აეროპორტის ახლოს მოაწყო ფერენც ნადის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაცია.

# „სპენიშ ნიუსლეტერის" კორესპონდენტი ფრანკოს მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ

**ლონდონი**, 15 ივნისი. (საქდესი). ბიულეტენმა „სპენიშ ნიუსლეტერმა" გამოაქვეყნა თავისი ამერიკელი კორესპონდენტის სტატია, რომელშიც ნათქვამია: „ეჭვი აღარ არის, რომ შეეცდებიან ტრუმენის დოქტრინა გაავრცელონ ფრანკისტულ ესპანეთზეც. ეს გადაწყდა მანამდე, სანამ ამა წლის 23 მარტს ინგლისი ხელს მოაწერდა საფინანსო შეთანხმებას ფრანკოსთან. აღნიშნულ გარემოებას შეუძლია დაგვეხმაროს ამ საგანგებო ღონისძიების ახსნაში. ვაშინგტონი ცდილობს რაც შეიძლება უფრო ფართოდ გამოიყენოს ინგლისი ამ დოქტრინის განსახორციელებლად, რომელიც ზოგიერთ ჰქუის კოლოფს მიაჩნია დოლარის დიპლომატიის ბედნიერ გამოყენებად, რასაც იმპერიალისტური და ანტიკომუნისტური მიზნები აქვს. ამერიკელ ესპანელთა დიპლომატიურ წრეებში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ფრანკო ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ, თუ იგი გარკვეულ საზღვრებს დაიცავს, მას შეუძლია ცოტათი თუ ბევრად თავისუფლად მოიქცეს ესპანეთში; მას არავინ ეტყვის რამეს. ამასთან დაკავშირებით მან გაიყვანა თავისი ახალი „კანონი" რეპრესიების შესახებ, შეიტანა თავისი ამასწინანდელი წინადადებანი „მემკვიდრეობითობის" შესახებ და ამჟამად დაიწყო თავის ყველაზე აქტიურ მემარჯვენე და მემარცხენე მოწინააღმდეგეთა ჩამოშორება. რეპრესიების ახლანდელი ტალღა ესპანეთში ყველაზე სასტიკია 1939 წლის შემდეგ იმ პერიოდიდან, რომელიც სამოქალაქო ომის დამთავრებას მოჰყვა.

სახელმწიფო დეპარტამენტს ფრანკო ხელსაყრელ მყიდველად მიაჩნია, რომელიც შეიძლება ფრიად სასარგებლო იყოს თუ მას სათანადოდ მოეპყრობიან.

## ჩინეთის გაზეთის მორიგი ჭორი

**ულან-ბატორი**, 17 ივნისი. (საქდესი). დღეს მონღოლეთის ცენტრალურმა გაზეთმა „უნენმა" გამოაქვეყნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს უარყოფა. უარყოფაში ნათქვამია, რომ ჩინეთის რეაქციულ გაზეთ „ჯუნგოპინლუნჯიბაოს" მიერ ამ დღეებში გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, თითქოს ჩინელ კომუნისტებს საომარი მასალა და საჭურველი მიეღოთ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან და თითქოს იქ ამზადებდნენ თავიანთ მეთაურებს, წარმოადგენს აშკარა ჭორს და გომინდანელთა უხეშ ცდას დაუმალონ ჩინეთის საზოგადოებრიობას ის ნამდვილი სამხედრო დახმარება, რომელსაც გომინდანელები სხვა ქვეყნებიდან იღებენ.



თბილისი. ბოტანიკურ ბაღში.
ფოტო რ. აკოფოვისა

# აფხაზეთი

## სანატორიუმი „განთიადი"

კაპიტალური რეკონსტრუქციის შემდეგ 1 ივნისიდან გაიხსნა სოხუმში ყველაზე დიდი და კეთილმოწყობილი სანატორიუმი „განთიადი".

სანატორიუმი მოთავსებულია მთაგორიან ადგილზე, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანს ქალაქი და ზღვა. მის ირგვლივ დიდძალი სუბტროპიკული და მწვანე ნარგავებია. სანატორიუმთან არის ლაბორატორია, ფიზიოთერაპევტული და კბილის სამკურნალო კაბინეტები, ელსადგური.

ამჟამად აქ ისვენებენ მოსკოვის, თბილისის და საბჭოთა ქვეყნის სხვა ქალაქების მშრომელნი. მათთვის შექმნილია დასვენების საუკეთესო პირობები.

## სოხუმის ნავსადგურში

სოხუმის ნავსადგურის სამმართველომ ივნისში ქალაქსა და პლაჟს შორის დააწესა საზღვაო სამგზავრო კატარღის რეგულარული მიმოსვლა.

1 ივნისიდან სოხუმსა და სოჭას შორის დაიწყო კატარღების „იუპიტერისა" და „კაპელას" მიმოსვლა. გზაში ისინი შევლენ ადლერის, განთიადის, გაგრის, ბიჭვინთის, გუდაუთის და ახალი ათონის ნავსადგურებში.

## „საქწიგნის" სანიმუშო მაღაზია

სოხუმში, სტალინის ქუჩაზე, რეკონსტრუქციის შემდეგ გაიხსნა „საქწიგნის" სანიმუშო მაღაზია.

მაღაზია გაფორმებულია შესანიშნავად. მას აქვს პოლიტიკური, მხატვრული, სასოფლო-სამეურნეო, სასკოლო ლიტერატურის განყოფილებები.

ს. შონია,

# ფიზიოლოგთა საზოგადოებაში

19 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის აუდიტორიაში (სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა, მარის ქ. № 1) შესდგება საქართველოს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საზოგადოების სხდომა. მოხსენებებით თემაზე—„ჩონჩხის კუნთისა და ნერვიული სისტემის სიმპათიკური გავლენის ანალიზისათვის" — გამოვლენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი დ. გედევანიშვილი, მეცნიერების კანდიდატები ქ. ცინცაძე და პ. ევსეევი.

მოხსენებით თემაზე — „მასალები ნიკოტინ-მჟავას ფარმაკოლოგიისათვის" — გამოვა ექიმი ვ. ალადაშვილი.

# მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის

(მეოთხე წლის გამოშვება)

მოგებათა 22-ე ტირაჟის

**ოფიციალური ცხრილი**

ტირაჟი შესდგა 15 და 16 მაისს ქ. ულიანოვსკში.

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) 22-ე ტირაჟში მოგება ხვდა სესხის წაუგებელი გამოშვების ყველა 70 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის №№ | ობლიგაციის №№ | მოგების რაოდენობა მანეთობით | სერიის №№ | ობლიგაციის №№ | მოგების რაოდენობა მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|
| 100011 | 26*) | 500 | 111128 | 1—50 | 150 |
| 100151 | 12*) | 500 | 111234 | 50*) | 500 |
| 100503 | 1—50 | 200 | 111286 | 45*) | 500 |
| 100716 | 30*) | 500 | 111288 | 29*) | 500 |
| 100947 | 39*) | 500 | 111396 | 11*) | 500 |
| 101285 | 13*) | 500 | 111435 | 31*) | 500 |
| 101504 | 1—50 | 150 | 111455 | 1—50 | 150 |
| 101743 | 30*) | 500 | 111689 | 44*) | 500 |
| 101787 | 05*) | 500 | 111929 | 45*) | 500 |
| 101844 | 08*) | 500 | 112046 | 43*) | 500 |
| 102029 | 1—50 | 200 | 112190 | 30*) | 500 |
| 102065 | 06*) | 500 | 112218 | 42*) | 500 |
| 102433 | 37*) | 500 | 112227 | 1—50 | 200 |
| 102607 | 45*) | 500 | 112355 | 01*) | 500 |
| 102630 | 1—50 | 200 | 112606 | 05*) | 500 |
| 102651 | 35*) | 500 | 112925 | 1—50 | 150 |
| 102664 | 1—50 | 150 | 112944 | 18*) | 1000 |
| 102713 | 14*) | 500 | 113002 | 07*) | 500 |
| 102901 | 33*) | 500 | 113158 | 1—50 | 150 |
| 103072 | 1—50 | 200 | 113207 | 28*) | 3000 |
| 103190 | 32*) | 500 | 113349 | 20*) | 500 |
| 103772 | 27*) | 500 | 113409 | 40*) | 500 |
| 103776 | 1—50 | 150 | 113452 | 1—50 | 200 |
| 103789 | 1—50 | 200 | 113466 | 37*) | 500 |
| 104079 | 34*) | 1000 | 113502 | 50*) | 500 |
| 104145 | 02*) | 500 | 113509 | 22*) | 500 |
| 104147 | 01*) | 500 | 113587 | 33*) | 500 |
| 104384 | 42*) | 500 | 113608 | 23*) | 500 |
| 104844 | 08*) | 500 | 113642 | 18*) | 500 |
| 105265 | 1—50 | 200 | 113737 | 1—50 | 200 |
| 105273 | 25*) | 500 | 113870 | 06*) | 500 |
| 105341 | 34*) | 500 | 114041 | 1—50 | 200 |
| 105344 | 09*) | 500 | 114101 | 41*) | 500 |
| 105570 | 37*) | 500 | 114248 | 26*) | 500 |
| 105684 | 39*) | 500 | 114500 | 1—50 | 200 |
| 105692 | 1—50 | 200 | 114826 | 16*) | 500 |
| 105787 | 41*) | 500 | 115099 | 11*) | 500 |
| 105856 | 41*) | 500 | 115147 | 1—50 | 200 |
| 105916 | 25*) | 500 | 115435 | 27*) | 500 |
| 106140 | 36*) | 500 | 115519 | 48*) | 500 |
| 106437 | 26*) | 500 | 115665 | 1—50 | 200 |
| 106494 | 35*) | 500 | 116722 | 11*) | 500 |
| 106716 | 06*) | 500 | 116824 | 01*) | 500 |
| 106827 | 48*) | 500 | 117001 | 03*) | 500 |
| 106868 | 1—50 | 200 | 117360 | 36*) | 500 |
| 106976 | 07*) | 500 | 117390 | 28*) | 500 |
| 107404 | 1—50 | 200 | 117452 | 22*) | 500 |
| 107741 | 32*) | 500 | 117637 | 1—50 | 200 |
| 107764 | 1—50 | 200 | 117653 | 34*) | 500 |
| 107801 | 15*) | 500 | 117710 | 46*) | 1000 |
| 108101 | 1—50 | 200 | 117749 | 13*) | 500 |
| 108177 | 47*) | 500 | 117877 | 1—50 | 150 |
| 108186 | 1—50 | 200 | 118048 | 1—50 | 200 |
| 108224 | 13*) | 500 | 118124 | 03*) | 500 |
| 108301 | 11*) | 500 | 118183 | 09*) | 1000 |
| 108307 | 27*) | 500 | 118492 | 12*) | 500 |
| 108415 | 34*) | 500 | 118580 | 1—50 | 150 |
| 108798 | 1—50 | 150 | 118658 | 1—50 | 200 |
| 108816 | 1—50 | 200 | 118731 | 1—50 | 200 |
| 108929 | 31*) | 500 | 119088 | 32*) | 500 |
| 108971 | 27*) | 500 | 119125 | 08*) | 500 |
| 109433 | 1—50 | 200 | 119332 | 16*) | 500 |
| 109491 | 17*) | 500 | 119348 | 17*) | 500 |
| 109603 | 1—50 | 200 | 119392 | 43*) | 500 |
| 110141 | 21*) | 500 | 119493 | 31*) | 500 |
| 110420 | 13*) | 1000 | 119551 | 1—50 | 150 |
| 110515 | 1—50 | 200 | 119690 | 1—50 | 200 |
| 110557 | 22*) | 500 | 119713 | 42*) | 500 |
| 110662 | 50*) | 500 | 119758 | 18*) | 500 |
| 110708 | 18*) | 500 | 119782 | 44*) | 500 |
| 110812 | 15*) | 500 | 119807 | 02*) | 500 |
| 110979 | 09*) | 500 | 119824 | 16*) | 500 |
| 111098 | 28*) | 500 | 119971 | 1—50 | 150 |

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდა 150 მანეთი მოგება თვითეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე
**ნ. სემიკინი**

სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი
**მ. სმირნოვა**

## გასწორება

გაზეთ „კომუნისტის" 13 ივნისის ნომერში დაბეჭდილ ამხ. ა. მჟავანაძის წერილში — „დიდი სტალინისათვის მიცემული სიტყვა შესრულდება" — მე-4 სვეტის 23-ე სტრიქონი ზევიდან უნდა იკითხებოდეს ასე: „შესაძლებელია და საჭიროც არის გავადიდოთ აფხაზეთში კოლმეურნის საშუალო გამომუშავება 320 შრომადღემდე", შემდეგ როგორც ტექსტშია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**გ. ნანიტაშვილი**

## კინოებში

**18 ივნისს:** რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი" და „კომკავშირელი" (საზაფხულო და ზამთრის) — „გმირი"; „სპარტაკი" — „ნასრედინის თავგადასავალი"; „ამირანი" (საზაფხულო) —„ალმასების ხეობა"; 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო)—„გმირი", (ზამთრის) — „ბაღდადელი ქურდი"; „კოლმეურნე" — „ბილეტის სოლისტი".

## საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

### 18 ივნისს

**რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:**

9.15 — ლიტერატურული გადაცემა, მაქსიმ გორკის „სიმღერა ქარიშხალზე".

**რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:**

17.20 — ხალხური სიმღერები. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის რუსულ ენაზე. 18.20 —კონცერტი საქართველოს ფილარმონიის სოლისტის ოსიაშვილის შესრულებით. 19.15 — კონცერტი. 20.30 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის ჯაზ-ორკესტრის შესრულებით. 20.45 — ამხ. ფრანცევის საუბარი თემაზე: „იმპერიალისტური რეაქციის სულიერი მეაბჯრენი". 21.05 — კონცერტი. 21.20 — ლიტერატურული გადაცემა. ერთი მოთხრობის ინსცენირება მაქსიმ გორკის წიგნიდან „ზღაპრები იტალიაზე". 23.00 — საქართველოს რადიოკომიტეტის ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლის კონცერტი.

**თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმი** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1947-48 სასწავლო წლისათვის ტექნიკუმის პირველსა და უფროს კურსებზე.

ტექნიკუმი ამზადებს სპეციალისტ ტექნიკოსებს საბრძმედო, ფოლადის, საგლინავი და ელექტრომეტალურგიის დარგში.

სწავლა ქართულ და რუსულ ენებზე.

მიღების პირობები: I კურსზე მიიღებიან ის პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა, ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ სრული საშუალო სკოლა, ჩაირიცხებიან უფროს კურსებზე. I კურსზე შემსვლელმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდები შემდეგ საგნებში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), მათემატიკაში (არითმეტიკა, ალგებრა და გეომეტრია, ზეპირი და წერა), სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი). ფრიადოსნები ტექნიკუმში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ. განცხადებების მიღება ა. წ. 15 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15-დან 25 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს. ტექნიკუმის მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან ცუშათა მომარაგებით, დღეში სამჯერ კვებით, საბჭოთა არმიაში გაწვევის ვადის გადადებით, სტიპენდიით თვეში 285-დან 400 მანეთამდე, სწავლის ფრიადოსნები მიიღებენ 25 პროცენტით გადიდებულ სტიპენდიას.

განცხადებას უნდა დაერთოს: ატესტატი ან მოწმობა არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ, ავტობიოგრაფია, დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის, სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ და სამი ფოტოსურათი.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, შაუმიანის ქ. № 55, ტელეფონი № 3-19-78.

**დირექცია**

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, ა. წ. 28 ივნისს, დღის 2 საათზე, აუდიტორია № 107 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1), ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნინო გრიგოლის ასული ქადეიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „მოლიერის კომედიების ქართული თარგმანები".

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მ. კვეხელავა.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს, რომ იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, ა. წ. 28 ივნისს, დღის 1 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მედეა ჟიზმონდი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Советская власть и крестьянство".

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ი. ტალახაძე, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვ. ბახტაძე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნ. ლომსაძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ასპირანტურაში** მიღებას 1947-48 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: ახალი ისტორია, სსრ კავშირის ისტორია, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, პოლიტიკური ეკონომია, ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკური გეოგრაფია, ზოოლოგია და დარვინიზმი, ქართული ენა, ქართული ლიტერატურის ისტორია, დასავლეთევროპული ენები (ფრანგული, ინგლისური), დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია, არაბული ენა და ლიტერატურა, ირანული ენა და ლიტერატურა, სახელმწიფოსი და სამართლის თეორია, სსრ კავშირის სახელმწიფოსი და სამართლის ისტორია, საერთაშორისო სამართალი, სსრ კავშირის სახელმწიფო სამართალი.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი არაუმეტეს 40 წლის ასაკისა, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ: 1. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, 2. სპეციალურ დისციპლინაში, 3. რუსულ ენაში და 4. ერთ-ერთ უცხო ენაში.

ასპირანტურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადება უნდა შემოიტანოს რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2. ავტობიოგრაფია, 3. კათედრის ან ხელმძღვანელის დახასიათება, 4. დიპლომი, 5. დახასიათება მუშაობის ადგილიდან, 6. ცნობა სამუშაო სტაჟის შესახებ (უკეთუ ასეთი აქვს), 7. საბუთი სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულებისა, 8. მეცნიერული შრომა ან რეფერატი სპეციალურ საკითხზე, შეფასებული კათედრის ან ხელმძღვანელის მიერ, 9. სამი ფოტოგრაფიული სურათი.

განცხადება მიიღება 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე, მისაღები გამოცდები იწარმოებს 5-დან 20 სექტემბრამდე.

ცნობებისათვის მიმართეთ თბილისი, მარის ქ. № 1, უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **თამარ ვახილის ასულ მინდიაშვილის** გარდაცვალებას.

მამიდები ქონია, თამარ, ტატიანა, ბიძა ჯაბო, ბიცოლა ეკატერინე, ბებია ნადია გელოვანები, ბიძები გიორგი ყურაშვილი, ვალიკო ბერიძე შვილებით იუწყებიან **უჩა ჰაჰაკოს-ძე გელოვანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 19-VI, 6 ს. ახალი არსენალის, 15.

გ. ი. ჯაბუა, ი. ს. მარჯანიშვილი, ა. ფირცხალავა, დ. თავხელიძე, ვ. ვარაზაშვილი, ა. ვაჩნაძე, ა. ცაგარეიშვილი, ი. ცალქინი, მ. გიორგობიანი, მ. ლასურაშვილი, ა. ავაქოვი იუწყებიან **გრიგოლ ბარნაბის-ძე მდივნის** გარდაცვალებას.

უახლოესი მეგობრები ნ. სიფროშვილი, ნ. აბმეტელი, თ. სამხარაძე, ი. ბაკურაძე იუწყებიან **არჩილ გრიგოლის-ძე შელიას** გარდაცვალებას.

ქალთა მე-19 საშუალო სკოლის პედკოლექტივი და მოსწავლეები იუწყებიან **ერმალოზ მანჯავიძის** გარდაცვალებას.

იოსებ და თამარ იასეშვილები, ლელო და არჩილ გიგიშვილები იუწყებიან **ვალოდია მელექსიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ახაშენში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 02904